წლიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — ხუთშაბათი, 7 აპრილი 1916 წ. — № 78

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი შრიფტით პირველ გვერდზე სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე. **საქართველო** წლიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ვაგზლის სამკურნალოში
(მიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—16)

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და-ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
გიორგი ილიას ძის
ჩუბინაშვილის
მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.
(თ—81—2)

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.
20—67—15

საჭიროა ინსტრუქტორი
ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის
კოოპერატიულ საქმის თეორეტიულად და პრაქტიკულად მცოდნე.
ჯამაგირი წლიურად 1,500 მან. გზის ფული და დღიური ხარჯი საზოგადოების თანხიდან. განცხადება და curic. vitae მიიღება ამა წლის 1 მაისამდე.
მისამართი: ბარიატინსკის ქუჩა № 5.
(1-82-1)

ახალი კლუბი
11 აპრილს 1916 წელს.
ორი შეერთებული გუნდი **მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით გამართავს ოთხ განყოფილებად დიდ
კონცერტს
დაწვრ. პროგრამებში. ✦ ბილეთების ფასი სამხედრო ბეგრით 1 მ. და 10 კ.
დასაწყისი დილის 12 საათზე.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. 5 აპრ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი:** იაკობშტატის მიდამოებში და მის დასავლეთ მხარეზე ზარბაზნის სროლაა. მტერი შეეცადა ნევერიშკისაკენ წაწეულიყო დ. კრესის სამხრეთით, მაგრამ ჩვენმა მზვერავებმა მოიგერიეს. 3 აპრილს გალიციაში მოპირდაპირემ ძლიერის ჯარით მედგარი იერიში მიიტანა პაპოვ მაგილაზე, ერთგან ბრძოლის ასპარეზი ორი ვერსი გაგრძელდა. იერიში მოვიგერიეთ და მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. დამატებითი ცნობით პოპოვ მაგილის აღების დროს 31 მარტს დიდი ძალი თოფები, პატრონები, ტელეფონის მოწყობილობა, პერისკოპები, ფარები, ყუმბარის მტყორცნელები, ყუმბარებით სავსე 4 ყუთი ხელთ ჩავიგდეთ.

კავკასიის ასპარეზი. ზღვის მიდამოებში მტრის განდევნის დროს ჩვენმა ჯარმა აიღო სოფ. დრონი. დრონი ტრაპიზონის აღმოსავლეთით 10 ვერსის მანძილზეა. ტრაპიზონის დასავლეთით სასტიკი ბრძოლის შემდეგ ოსმალთა რამდენიმე სიმაგრე ვიგდეთ ხელში.

პეტროგრადი, კავკას. ასპარეზი. 5 აპრ. ოფიციალი. ტრაპიზონი აღებულია კავკასიის ჯარის და შავი ზღვის ფლოტის შეთანხმებული ბრძოლის შემდეგ, ეს შესანიშნავი ანატოლიის სანაპიროების სიმაგრე ხელში ჩავიგდეთ. სახელოვანი კავკასიის ჯარი, მკაცრი სისხლის ღვრის შემდეგ, 1 აპრილს მდ. ყარა-დერესთან შეუჩერებლივ მტერს აწვებოდა; ყველა დაბრკოლებებს უმკლავდებოდა და ყველგან შემუსრა ოსმალთა წინააღმდეგობა. ფლოტის მარჯვე მოქმედების წყალობით ჯარი გადავსხით. ფლოტი ცეცხლით ეხმარებოდა ხმელეთის ჯარს, რომელიც ზღვის სანაპიროებში მოქმედებდა. კავკასიის ჯარის ახალ გამარჯვებას ხელი შეუწყო ამხანაგურმა დახმარებამ, მცირე აზიის სხვა ადგილას ჯარის მოქმედებამ, ამათმა მკაცრმა ბრძოლამ და გმირულმა საქმემ ხელი შეუწყო ზღვის ნაპირებში მებრძოლთ საქმის დაგვირგვინებაში. დაწვრილებით ყველაფერი გამოირკვევა.

—

პარიზი, 4 აპრილი. ოფიციალი. დღის ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირს ავოკურ და მორტჰომ-კიუმერის მიდამოების სიმაგრეებს მტერმა ზარბაზნები მედგრად დაუშინა. მაასის მარჯვენა ნაპირას ღამემ მშვიდად ჩაიარა გარდა ოდრემონის ტყისა, სადაც ზარბაზნის საშინელი სროლა იყო; აქ ქვეითა ჯარი არ მოქმედებდა. სხვაგან ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. 4 აპრილს ჩვენმა ცხრა ჰაეროპლანმა კონფლან-პანი-არნავილრომბახის მიდამოებში ყუმბარები ჩამოყარეს.

პარიზი, 4 აპრილი. ოფიციალი. საღამოს ცნობა. ავროს და უაზის შუა ჩვენმა ზარბაზნებმა ბევრენის და ლასიონის მიდამოებში მტრის თხრილები დაანგრია. არგონებში, ლაზარაზე ჩრდილოეთით გერმანელთა საველე სიმაგრეებს ზარბაზნები დაუშინეს. მაასის მარცხენა ნაპირას მტერმა ზარბაზნები დაუშინა „304“ სიმაგრეს და ჩვენ ბრძოლის მეორე ხაზს. მაასის მარჯვენა მხარეზე, მაასიდან დომონამდე, გერმანელებმა ორი დივიზიით იერიში მოიტანეს. მტრის ჯარი 4 ვერსის მანძილზე ჩვენ სიმაგრეებს ტალღასავით ეხეთქებოდა. ყველგან მოვიგერიეთ, გარდა შოფურის ტყისა, რომელიც მტერმა აიღო. მტერი ძლიერ დაზარალდა. ვევრთან სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა.

პარიზი, 5 აპრილი. ოფიციალი. დილის ცნობა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირას, მორტჰომ-კიუმერის ხაზით, მტერმა ჩვენ ბრძოლის ხაზს ზარბაზნები დაუშინა. ირკვევა, რომ მაასის და დომონის შუა შეტევას სასტიკი ხასიათი ჰქონოდა. ამ ადგილებში მტრის 5 დივიზიის ნაწილები იღებდნენ მონაწილეობას. შოფურთან მტერმა შესძლო პირველი თხრილების ხელში ჩაგდება, მაგრამ კონტრ იერიშებით უკუ ვაგდეთ. ვევრთან ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელების მზვერავი რაზმი ეცადა გერმანპერთან თხრილებს მოახლოვებოდა, სენ-დიენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაგრამ ყუმბარებით მოვიგერიეთ. მტრის ჰაეროპლანებმა ბელფორთან 7 ყუმბარა ჩამოაგდო, ერთი ცეცხლის გამჩენი. მოკლულია 3, დაჭრილია 6. ქონებრივი ზარალი მცირეა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რიგის ასპარეზი.

რიგიდან იტყობინებიან: რიგის სიმაგრეებს უშენენ. შლოკის მიდამოებში მზვერავი და მოწინავე რაზმების შეტაკება ხდება. მტერმა რამდენჯერმე შორს მტყორცნელი ზარბაზანი შლოკს დაუშინა.

ვერდენი.

ლონდონში კელნიდან მოსული ცნობით ვერდენთან გერმანელებს ახალი ჯარისათვის მოუყრია თავი. მალანკურის მიდამოებში 30,000 კაცი გაიგზავნა იმ მიზნით, რომ სიმაღლე მორტჰომი იერიშით აიღონ. გერმანელების რამდენიმე მძიმე ზარბაზანი, რომელიც ეეს და მულენვილის შუა არის დადგმული, ესროლეს ფრანგთა სიმაგრეებს, მაგრამ ფრანგების არტილერიამ მიაგნო ამ ზარბაზნებს და მალე ჩააჩუმა. გერმანელი მხედრები საჩუქარს აძლევენ, ვინც კი 75 მილიმ. ზარბაზანს წაუხდენს მტერს.

გერმანეთის განზრახვა.

„დეილი ნიუს“ Nevs“ სტოკჰოლმიდან ატრიგს შეუდგა, რომ ომის შემდეგ ნეიტრალ სახელმწიფოებში საქონლის გატანა მოაწესრიგოს. გერმანეთი საქონელს რაც შეიძლება იაფად გაჰყიდის, რათა ინგლისის საქონელი ბაზრიდან განდევნოს.

თავისუფალი ვაჭრობა ავსტრო-ჰუნგრეთისა.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ავსტრიის სოც.-დემოკ. კონგრესმა, რომელიც ვენაში მოხდა, სურვილი გამოსთქვა ავსტრიასა და ჰუნგრეთის შორის სრული თავისუფალი ვაჭრობა სწარმოებდეს. რადგანაც პოლონეთის სოც.-დემოკ. პოლონეთის კოლოს კონფერენციას დაესწრო, ამ გვარ საქციელით პოლონეთის სოც.-დემოკ. გასწყვიტა ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიასთან.

ავსტრო-ჰუნგრეთის შეერთება გერმანეთთან.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: ბერლინში შესდგა მუდმივი კომისია, გერმანელ ვექილთა საზოგადოებისა, რათა განხილულ და შედგენილ იქმნეს საერთო იურიდიული კოდექსი გერმანეთ-ავსტრია-ჰუნგრეთისა.

რუმინეთი.

სოფიიდან იტყობინებიან: ბულგარელებმა რუმინეთის საზღვრებზე დიდძალი ჯარი და სამხარი მასალ გაგზავნა იმ აზრით, რომ რუმინეთის მიწა-წყალს მოულოდნელად შეესიოს. ბულგარელთა ოფიციალ წრეებში ირწმუნებიან: რუსეთს გადაუწყვეტია რუმინეთის ნეიტრალი დაარღვიოს ან ძალით, ან თვითონ რუმინეთის დასტურით.

ბულგარელების ჯარი

სალონიკიდან მოსული ცნობები რომ ბულგარელების ჯარი ძლიერ შესუსტდაო, გადაჭარბებულია. თუმცა ბულგარელებმა სერბეთში ბრძოლის დროს იზარალეს, მაგრამ მაკედონიასა და სერბეთში ბულგარელების ახალი ჯარის რიცხვი გაცილებით უფრო მეტია. გერმანეთიდან ბულგარეთში დიდძალი სამხარი მასალა და ტანთსაცმელი შეიტანეს. ბულგარელი ჯარი ბევრგან გერმანულად არის გამოწყობილი.

რუსეთი და იაპონია

ტოკიოდან იტყობინებიან: იაპონიის გაზეთის „ნიჩი-ნიჩი“-ს ცნობით, რუსეთის და იაპონიის შორის შემდეგი შეთანხმება მოხდა. 1) რუსეთი თანახმაა ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის შტო, ჩანჩუნიადან ჩრდილოეთით სამხრეთით ხარბინამდე, იაპონიას დაუთმოს. 2) იაპონია თავის მხრივ იარაღით დახმარებას ჰპირდება რუსეთს, ვიდრე უკანასკნელი გერმანეთთან და ავსტრიასთან ზავს არ ჩამოაგდებს. 3) რუსეთი თანახმაა უპირატესობა მისცეს იმ იაპონელებს, რომლებიც მოისურვებენ მიწის დამუშავებას, ვაჭრობას და მრეწველობას აღმოსავლეთ ციმბირში, ჩრდილოეთ სახალინში და ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის მიდამოებში და ჩრდილოეთ მანჯურიაში. 4) რუსეთი აარსებს ვლადივოსტოკში სავაჭრო ნავთსადგურს, ამასთანავე თავს შეიკავებს სამხედრო მზადებისაგან, რადგანაც ამას შეუძლიან უთანხმოება ჩამოაგდოს იაპონიასთან. 5) იაპონია და რუსეთი ერთი ერთმანეთის ინტერესებს მანჯურიაში და მონღოლეთში პატივსა სცემენ, და თუ ვინიცობაა არეულობა მოხდება იმ ადგილებში, რომელიც რუსეთის ზედამხედველობის ქვეშ არის, იაპონია თავს იდებს რუსეთის ნებართვით წესრიგი აღადგინოს. 6) თუ იაპონია ჩინეთის საქმეებში ჩაერევა იმ მიზნით, რომ მშვიდობიანობა დაცულ იქმნას, ისე რომ ჩინეთის დამოუკიდებლობა დარღვეულ არ იქმნეს, რუსეთი იაპონიას ხელს არ შეუშლის. ვინიცობაა ამ შემთხვევაში მესამე სახელმწიფო ჩაერია საქმეში რუსეთი იაპონიასთან ერთად გამოვა სამოქმედოდ.

გაზეთის აზრით ეს ხელშეკრულობა ხელმოწერილ იქმნება პეტროგრადში.

(„რუს. სლ.“)

ომი წყალქვეშ.

„Times“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: წყალქვეშა ომი რთულდე-მავლობაში ინგლისმა დაჰკარგა [illegible] გემი, 60,000 ტონი. აპრილის დასაწყისს ბევრი გემი დაიღუპა, ისე რომ ამ თვეში ზარალი გაცილებით მეტი იქნება. ტირპიცის გადაყენებით წყალქვეშა ბრძოლის გეგმა არ შეცვლილა და ძველებურად სიმკაცრით სწარმოებს. ტირპიცის სიტყვით, გერმანეთმა პასუხი გასცა ინგლისს იმის შესახებ, რომ უკანასკნელს უნდა გერმანეთი შიმშილით დაასუსტოს.

ეხლა,—განაგრძობს მიმომხილველი, წყალქვეშა გემები მთელი ძალღონით ამოქმედდნენ. დღევანდელი წყალქვეშა გარდა თავის სიდიდისა შესანიშნავი იმითი, რომ ურიცხვს ნაღმებს ჰფანტავს, რომლებიც დიდ ზიანს აყენებს მოწინააღმდეგეს. ამერიკის ფლოტის უფროსმა ვაშინგტონში სხვათა შორის სთქვა: შარშან გერმანეთს ჰქონდა 750 ტონიანი წყალქვეშა, რომელსაც ნავთსადგურიდან 1,500 ვერსის გავლა შეუძლიან. წყალზემოთ ამ გემებს შეუძლიან 19 კვანძის სიჩქარე გააძლიეროს. მათ ათი დღის განმავლობაში შეუძლიან გაიაროს 3,000 ვერსზე მეტი, ოცი დღე კი შეუძლიან ნავთსადგურს არ დაუბრუნდეს. გემები როცა დაბრუნდებიან, მეზღვაურებს რიცხვით 32 კაცს და 6 აფიცერს, ნება ეძლევათ 20 დღე შეისვენონ. ამ გვარად ნაწილი გემებისა ზღვაშია, ნაწილი კი ნავთსადგურში.

სამხედრო მიმომხილველი მოუწოდებს წყალქვეშა გემებთან სასტიკ ბრძოლას.

ოსმალეთი.

„ბირჟ. ვედ.“-ის სიტყვით, ოსმალეთის დიპლომატს განუცხადებია: ის ხმები, ვითომც ოსმალეთს გადაწყვეტილი აქვს სეპარატიული ზავი ჩამოაგდოს მოკავშირეებთან სინამდვილეს მოკლებულია.

კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა, განაცხადა დიპლომატმა, უკანასკნელ სიტყვაში რეიხსტაგში, დაასურათა საერთო გეგმა, რომელსაც უნდა დაემორჩილნენ გერმანეთთან შეკავშირებული სახელმწიფოები. ჩვენ გადავწყვიტეთ გერმანეთის მთავრობის გეგმა სისრულეში მოვიყვანოთ და ვიბრძოლებთ ვიდრე ამას საქმე მოითხოვს.

აზრუმის დაცემამ ოსმალეთის პოლიტიკა სრულიადაც არ შესცვალა. გერმანეთის მთავარი შტაბი დიდი ხანია გვირჩევდა აზრუმი დაგვეცალა. ჩვენ ყოველ ძალას ვიხმართ, რუსეთმა სტამბოლი ხელში არ ჩაიგდოს. არ დავმალავ, სტამბოლი სურსათის მხრივ გასაჭირს განიცდის, მაგრამ დაბრკოლებას მალე ვძლევთ, რადგანაც შეთანხმება ბულგარეთ-რუმინეთთან უკვე მოხდა, რის შემდეგაც დიდძალი სურსათი შემოვიტანეთ სტამბოლში.

გერმანეთი და ასკვიტის სიტყვა.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გერმანელების პრესა სხვა და სხვა აზრს გამოსთქვამს ასკვიტის სიტყვაზე.

„Vossiche Zeitung"-ი სწერს: ასკვიტმა გვერდი აუხვია კანცლერის წინადადებას და რამე გონივრულ შეთანხმებაზე არც კი ფიქრობს. მისი სიტყვა ოდნავადაც არ ეხება ზავის საკითხს. ერთი რამ დაგვრჩენია ბრძოლა ბოლომდის.

„Tageszeitung"-ში გრაფი რევენტლოვი სწერს: ასკვიტს ჰსურს შემუსროს მონარქიული წესწყობილება გერმანეთისა და ინგლისს დაუქვემდებაროს, ევროპაში ინგლისი გაბატონოს და ევროპის საკითხი თავის ნებით გადასწყვიტოს. ამისათვის გერმანეთმა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა განაგრძოს ბრძოლა.

გერმანეთი და პოლონეთი.

ბუქარესტიდან მოსული ცნობით გერმანეთში სამგვარი შეხედულებაა პოლონეთის საკითხის შესახებ. პირველი შეხედულებით, რომელსაც კაიზერი და კანცლერი ემხრობიან, პოლონეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადდეს შემდეგ ფარგლებში: რუსეთის პოლონეთი, დასავლეთი და შუა გალიცია ლვოვამდე. ვინ იქმნება პოლონეთის მეფედ კაიზერს გადაწყვეტილი არა აქვს, თუმცა წინააღმდეგი არ არის, ტახტზე პოლონელი ავიდეს. მეორე შეხედულებას ემხრობა კრონპრინცი და ჰინდენბურგი. ესენი ეწინააღმდეგებიან პოლონეთის ტახტის აღდგენას და მოითხოვენ გერმანეთთან შეერთებას; ლიტვას კი რუსეთს უბრუნებენ. მესამე შეხედულებას ემხრობიან მრეწველნი და პოლონეთის შეერთებას უარს ჰყოფენ. ფრანც-ოსები კი დიდი ხანია პოლონეთის მეფობაზე ოცნებობს.

ბრძოლის ველზე

კავკასიის ასპარეზზი.

[illegible] და ოსმალთა მეორე ბურჯის ხელთ ჩაგდება: ტრაპიზონი დაეცა. ამიერიდან რუსეთის მხედრობას ანატოლიის კარი გახსნილი აქვს. თვით ამ ბურჯის წამოქცევის საკითხი უკვე პირველ აპრილს გადაჭრილიყო, როდესაც ოსმალნი ყარა-დერსეს მეორე კიდეზე გადაჰრეკეს კავკასიის სახელოვანმა გმირებმა. თქმა არ უნდა, ხმელეთის ჯარს დიდი და დიდი დახმარება გაუწია სამხედრო ფლოტმაც. როგორც ოფიციალი მოხსენებიდან სჩანს, ფლოტს დესანტის გადასხმა მოუხერხებია ხმელეთის ჯართა გასაძლიერებლად. ყარა-დემასესთან ბრძოლამ უკვე წინასწარ გამარჯვება აუწყა აზრუმის გმირებს და მიტომაც შეუსვენებლივ ხელი მიჰყვეს ოსმალთა დევნას. ოსმალნი ბევრს ეცადნენ ამ მხედრობის ყურადღება გაეყო და ცენტრისკენ გადმოეხარა, ხელოვნური მანევრები დაიწყეს სხვა და სხვა მიმართულებით, მაგრამ მთავარსარდლის მტკიცე გარდაწყვეტილება ვეღარამ ვერ შესცვალა. მართალია, ტრაპიზონის დაცემით არ თქმულა უკანასკნელი სიტყვა კავკასიის ასპარეზის ჩამოშორებისა, ისიც მართალია, სეპარატიულ ზავზე ნაადრევად იქნება ლაპარაკი, ვიდრე სავსებით არ გამოირკვევა სხვა მიმართულებით წამოსულ ოსმალთა ჯარების ბედი, მაგრამ ტრაპიზონის დაცემის ფაქტი ერთხელ და უკანასკნელად ცხადსა ჰყოფს, რომ სხვა ასპარეზებითაც ანალოგიურ ამბებს უნდა მოველოდეთ. რუსის მთავარმა შტაბმა ხელოვნური გეგმით დიადს მიზანს მიაღწია, ეს ის მიზანი, რაიც სტრატეგიის ქვაკუთხედად ითვლება: სულის სიმტკიცის შექმნა მებრძოლთა შორის და სულით დაცემა მოწინააღმდეგე მხარეში. ეს ნაპოლეონის მიერ ნაანდერძევი დებულება, რაიც გერმანელებმა ჩინებულად გამოიყენეს ომის დაწყებიდან, ახლა რუსეთის შტაბმაც გამოიყენა და უნდა ვთქვათ, რომ ჩინებულადაც. ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანი კავკასიის მხედრობის წინსვლისა და ასეთის მიუვალის პოზიციების აღება, როგორიც აზრუმი იყო ერთის მხრით, ხოლო დღეს ტრაპიზონია, დიახაც, სტრატეგიის ამ ბრძნულ დებულების შესრულებას უნდა მიეწეროს. ამ ჟამად რუსეთი ოსმალეთისთვის იგივეა, რაც იყო გერმანეთი ომის დაწყებისას მოკავშირეთათვის და უფრო მეტადაც. ცენტრი კავკასიისა ეხლა რუსის მხედრობას უჭერია, გზებიც გაიყვანა საჭირო ადგილებში და იმიტომაც ასე მარჯვედ ეხმარება იმ მხარეს, სადაც უფრო გაჭირვება ელისთ მხედრებს.

ტრაპიზონის დაცემას ტაქტიკურ წარმატების გარდა დიდი მორალური მნიშვნელობაც აქვს. ნუ დაგვავიწყდე[illegible] ბითლისის მიმართულებით ოსმალთა მაშველი ჯარები დამარცხებულ და უკუქცეულ იქმნენ. ჭოროხის ხეობაზეც, ბაიბურთის მიმართულებით ამ უკანასკნელ დღეებში ოსმალნი საგრძნობლად დამარცხდნენ. ჩვენ არ ვიცით, რა ხდება ერზინჯანის მიმართულებით, მაგრამ უნდა მოველოდეთ, რომ აქაც ოსმალთა საქმე არ იქნება სახარბიელო, ყოველ შემთხვევაში აქაც მოუხდებათ უკან დახევა ბრძოლის პირის გასასწორებლად.

ახლა იბადება კითხვა, რა იქნება და რას მოიმოქმედებენ რუსები? წავლენ პირდაპირ ანატოლიისკენ? ჩვენის აზრით, არა, ტრაპიზონიდან მართალია, გზა გახსნილი აქვთ, ისიც მართალია, რომ ამ მიმართულებით ყველაზე ნაკლებ წინააღმდეგობას შეეყრებიან, მაგრამ მაინც ნაადრევად ვერ გაჰკრავენ აქეთ გეზს, ვიდრე უკან არ მოიმაგრებენ ზურგს და აღებულს პოზიციებს უზრუნველს არა ჰყოფენ. ამ ჟამად მთავარი შტაბი იმას შეეცდება, რომ დაწვრილებით გამოარკვიოს საზოგადო მდგომარეობა, რა მხრით ვისთან ან რა ძალასთანა აქვს საქმე, რომ მის შესაფერისად გაჰშალოს ფრთა.

ასეა თუ ისე, უდიდესი ფაქტი მოხდა ახალი გამარჯვებისა. ყოველ მხრივ მნიშვნელოვანია მეფე სოლომონ II-ის საფლავის დამმარხველ ქალაქის აღება. იგი საგრძნობლად გაამაგრებს თვით ტიგროსის ნაპირებზე შემწყვდეულს ინგლისის ჯარებს, ხოლო სპარსეთის უდაბნოებში მონავარდე ბარათოვის ჯარებს ახალის ქარიშხლით გააშლევინებს მამაცობის ფრთებს მინდობილ მისიის საუკეთესო შესასრულებლად...

ვერდენის გარშემო.

ტრაპიზონის დაცემამ და საზოგადოდ კავკასიის ასპარეზით ბრძოლის გაცხოველებამ სულ დაგვავიწყა ვერდენის გარშემო ხარბაზანთა ქუხილი, მაშინ როდესაც სამართალი მოითხოვს ყურადღება მეტი მიექცეს მას, ვიდრე ამას ვხედავთ. საზოგადოდ არ არის უბედურება, რასაც არ შეეჩვიოს ადამიანი. ჩვენი ყურიც შეეჩვია ამ არნახულ ზეკაცურს იერიშებს. უკანასკნელ ცნობების მიხედვით აგერ გერმანელთ ოთხი დღეც მიდის იერიშები არ განუახლებიათ. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, თითქოს ფრანგთა იერიშების საპასუხოდ, იერიში მიუტანიათ შოფურის ტყეზე (მაასის დასავლეთით) და აუღიათ კიდეც ამ ტყეში ფრანგთა მოწინავე ხაზის სანგრები. საზოგადოდ კი არტილერიის ცეცხლში გახვეულია მთელი მორტჰომი კიუმიერის ხაზი. მართალია, ფრანგებს დროგამოშვებით მიაქვთ კონტრიერიშები, მაგრამ ყველა ეს ტაქტი[illegible] ოპერაციისთვის კი გარდამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ვერდენის საკითხი თვით ფრანგთათვისაც უკვე გადაჭრილია, თუ არ ნებდებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ მეტოქეს ზარალი მეტი აჩვენონ. თქმა არ უნდა, ვერდენის ოპერაციის დასრულება მალე იქნება, მაგრამ გენერალისიმუს ჟოფრისთვის შესაძლებელია ეს გარემოება ახალი ნიშანი იყოს, იმ გეგმის ფარდის ახდისა, რასაც იგი საიდუმლოდ ატარებს გულში და აქნობამდინ ამაოდ მისჩერებიან მის ახსნა-განმარტებას.

X.

თბილისი, 7 აპრილი.

ჭანეთისათვის

რუსეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანი დროის საზღვარი გაირღვა. რუსეთის სამხედრო ძალამ ოსმალეთის ბევრი ისეთი ადგილი დაიჭირა, რომელიც ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სხეულის განუკვეთელი ნაწილი იყო და რომელიც საქართველოს დაკარგული ჰქონდა მთელი საუკუნეების განმავლობაში. ეს დაკარგული პროვინცია, რომელიც თითქმის ნახევარ საქართველოს შეადგენს, გადაგვარების პროცესში იყო ჩათრეული და, რაც დრო გადიოდა, იგი უფრო და უფრო შორდებოდა თავის დედა-სხეულს. ამგვარად, ეროვნულ ენერგიის ჯამი თითქმის განახევრდა. ერის ძლიერებას და სულიერ ქონებრივ შემოქმედებას საბედისწერო ზიანი მოუვიდა. ჭრილობა ერთობ ღრმა იყო და შუაზედ გაჩეხილი ნაწილები ერთის მთელისა სათითაოდ სისხლისაგან იცლებოდა. ამ კატასტროფამ შეაყენა საქართველოს წინსვლა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ზრდა და განვითარება. დედა-საქართველოს ძალა არ შესწევდა ჩამოჭრილი პროვინციებისთვის მიეხედნა და დაკარგულ მოძმეებში გაუნელებლად ეღვივებინა საქართველოს მთლიანობის აღდგენის იმედი. დიდი იყო საკუთრად მის თავზედ დატეხილი უბედურება, იგი საკუთარი თავის დაცვას უნდებოდა მთელის თავის ძალით. დედა-საქართველომ შესძლო და წელში გასტეხა მისი გადამგვარებელი ძალები და იმდენად მოღონიერდა, რომ ძებნა დაუწყო თავის დაკარგულ მოძმეთ. ახალგაზდა საქართველო აღიძრა ცხოველი ეროვნული პოლიტიკით და თავის შეძლების ფარგალში საქართველოს შემოკრებას შეუდგა. მიმდინარე ომმა მას ხელი შეუწყო ამ მისწრაფებაში და მოქმედების ფარგალი გაუფართოვ-გაუადვილა. აჭარა, [illegible] ნაწილები— დედა—საქართველოს თბილი გრძნობისა და ზრუნვის ასპარეზად გადაიქცა. ამათაც თავიანთი თავი საქართველოს სხეულის ცოცხალ ნაწილებად იგრძნეს. დამარხულმა ეროვნულმა ღმერთმა მათში გაიღვიძა. და დღეს ორთავე საქართველოს, სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს, ზრუნვა-მეცადინეობით იჭედება ერთი გამთელებული საქართველოს სიმტკიცე და მომავალი.

მაგრამ რუსის ჯარის წინსვლამ კარები შეაღო უფრო ადრე დაკარგულ საქართველოს ძველს ნაწილში, ლაზეთში ან ჭანეთში. ეს წინსვლა მან დააგვირგვინა ჭანეთის დედა-ქალაქის ტრაპიზონის დაპყრობით, სადაც ობლად განისვენებს სამშობლოდან ლტოლვილის იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ მეორის საფლავი! ამ ნაირად, ჭანეთის დიდი ნაწილი დღეს შეჭრილი რუსის ჯარის ხელშია და მას განაგებს რუსეთის ხელთუფლობა. ჭანი და ჭანეთი იგივე მეგრელი და სამეგრელოა. განსხვავება მხოლოდ ისაა რომ პირველი ოსმალეთში მდებარეობს და მეორე რუსეთში. დღეს მომენტმა ამათი შეერთება მოიტანა, მით, რომ ორივე ერთი რუსეთის ბატონობის ქვეშ მოექცა ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება, მიუხედავად ომის დაბოლოების შედეგებისა, დიდი ფაქტია, რომელსაც ჩვენ უნდა მივუძღვნათ უმთავრესი ყურადღება და უპირველესი ზრუნვა ჩვენი ეროვნული მომავალი გვიბრძანებს რომ იმ ქართველ მხედრებს, რომელნიც ჭანეთ-ტრაპიზონში შევიდნენ, როგორც რუსის ჯარის ელემენტები, მიჰყვეს მოქალაქე ქართველობა და მიიტანოს მუნ საუკუნეთა სიმძიმის ქვეშიდან დღეს თავდაღწეული გრძნობა ეროვნული ნათესაობისა და ამასთან ერთად გაუწოდოს ძმური ხელი, სწორედ ისე, როგორც ეს მოიქმედა სამაჰმადიანო საქართველოს მეორე ნაწილისთვის, აჭარა-შავშეთისთვის. ჭანეთი თავის ღვიძლი ნაწილის სამეგრელოს სახით ჩვენი ისტორიის განუშორებელი თანამგზავრია და დღეს, რადგანაც გარემოებამ მოიტანა, საშუალება მივსცეთ ამ ორ ძმას—საქართველოს განუკვეთელ ნაწილებს ერთი მეორეს გადაეჭდონ ეროვნულ აღორძინების სიმბოლოდ.

დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

„ნოვოე ვრემიას" კოპენჰაგენიდან ატყობინებენ: ბერლინში ვილაცა დე[illegible] ცნობილ სოციალ-დემოკრატ ლიბკნეხტს და ორჯელ ესროლა. ბოროტმოქმედი შეიპყრეს. ლიბკნეხტი უვნებლად გადარჩა.

—

ბუქარესტიდან იტყობინებიან: ოსმა[illegible] აღელვებუ[illegible] გაძვირდა.

—

გერმანელებმა და ბოლგარელებმა საბერძნეთის საზღვარზედ 400,000 მეომარს თავი მოუყარეს. მათ განზრახვა აქვთ გაზაფხულზედ დაიწყონ შეტევა სალონიკზედ.

—

ოსმალები ამბობენ: სეპარატიული ზავი ფიქრადაც არ მოგვსვლია; ჩვენი ბედ-იღბალი გერმანელების ხელშია და ვიბრძოლებთ მანამ ეს გერმანელებს ჰსურთ.

—

გამოირკვა, რომ სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს უმაღლესი ბრძანებით დაითხოვენ.

—

იტალიის ასპარეზზე გამოცოცხლება დაეტყო. იმედოვნებენ, გაზაფხულზე იტალიელები გადამწყვეტ შეტევას დაიწყებენო.

ლ. ჯ.

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

ვერდენის ასპარეზზე ავოკურ-მორტჰომ-კიუმიერის ხაზით სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა.

—

მაასის მარცხენა ნაპირზე „304" სიმაღლეს და ფრანგთა ბრძოლის მეორე ხაზზე გერმანელებმა ცხარე ბრძოლა განაახლეს.

—

მდ. მაასიდან დომონამდე, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, გერმანელებმა ხელთ იგდეს თხრილები სამხრეთით შოფურის ტყიდან.

—

გერმანელების ჰაეროპლანებმა ზელფორთან ყუმბარები ჩამოყარეს.

—

კავკასიის ასპარეზზე, ტრაპიზონის აღების დროს, მოქმედებდა როგორც ხმელეთის ჯარი, აგრეთვე ფლოტი. აქ გამარჯვებას მცირე აზიაში ჯარის მოქმედებამაც ხელი შეუწყო.

—

გერმანელები ირწმუნებიან: 8 თებ. 28 მარტამდე ტყვედ წამოვიყვანეთ 38,756 ფრანგი ჯარისკაცი.

—

გერმანელებმა ინგლისის ერთი გემი კიდევ ჩასძირეს.

წმ. დავით აღმაშენებელი

1082 წელს თურქსელჩუკთან მრავალ გვემულ საქართველოს მხსნელად და გამაცოცხლებლად დავით მეფე მოევლინა. შიშის ზარი დასცეს ქრისტიანებს ყველგან თურქ-სელჩუკებმა, რომელნიც იყვნენ ველური, გაუნათლებელი ხალხი. მოვიყვანთ ორი ისტორიკოსის მოწმობას ამ ხალხის შესახებ: „სელჩუკნი ქრისტიანებს სტაცებდნენ ქონებას, იმათ ტაძრებში ყვირილით და ხმაურობით შედიოდნენ ღვთის მსახურების დროს, სხდებოდნენ საკურთხევლებზე, აგინებდნენ და სცემდნენ მღვდლებს და თვით პატრიარქსაც კი. (ისტორიკოსი შლოსსერი) „ისინი ანგრევდნენ შენობათა და კედლებს, თვისს კარვებს და საცოდავ ქოხებს სდგამდნენ სასახლეთა და ეკლესიების ნანგრევებზე და ამ ყოვლის გამანადგურებელმა ხალხმა ბევრი შვენიერი მხარე ველურ უდაბნოდ გადააქცია" (ლებო). რა გასაკვირველია, რომ ქართული წყაროები მათ სთვლიან მხეცის ბუნებიან ადამიანებად და ავაზაკებად. მათი მტარვალობიდამ მწარედ მგმინავი საქართველო იხსნა დავითის მრჩობლ კურთხეულმა მარჯვენამ სწორედ მეთერთმეტე საუკუნის გასულს. მან სიმხნის და სიცოცხლის წყურვილის სული შთაბერა სასო მიხდილ ქართველ ერს და შეაბა წელთა ზედა მახვილი თავისუფლების მოსაპოებლად... და ქართველმა იგემა სიტკბო თავისუფლებისა, რომლის არ მსურველი ერი გადაშენებულ-გადაგვარებულია. დიდბუნებოვანმა გვამმა დავითმა დაამყარა თვისი ნებისყოფა, თვისი ერთ მთავრობა მთელ ამიერ კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიის მოზრდილ ნაწილში. მის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ მრავალნი თათრები, სომხები, ოსები, ლეკები, ჩერქესნი, ყიფჩაყნი და სხვანი. მთელი ამიერ კავკასიის ბატონ პატრონი დავითი გახდა და ქართველ ერს ხელთ ეპყრა გეგემონია ამ ქვეყნისა. მთელი მისი არსება გამსჭვალული იყო სარწმუნოების მტკიცე გრძნობით. დავითს, შეუშინებელს და მრისხანეს ბრძოლის ველზე, ებრალებოდა ღარიბ-ღატაკნი. ჩვეულება ჰქონდა ყოველ დღე გლახაკებზე მოწყალება გაეცა. რა დღესაც მოწყალებას ვერ გასცემდა, დაღონებული იტყოდა: „დღეს ჩემი ცოდვების გამო ვერა მივეცი რა ჩემს ქრისტეს". მოწყალებას აძლევდა საკუთარ თანხიდან, აღაშენა გაჭირვებულთათვის მრავალი თავშესაფარი, ავადმყოფთათვის დააარსა ქსენონები. თვით ხშირად დაიარებოდა საავადმყოფოებში სნეულთა სანახავად. საკუთარ ხელით უსწორებდა ავადმყოფებს ტანისამოსს, ქვეშსაგებსა და ბალიშებსა. თითოეულს ავადმყოფს უხვ მოწყალებას აძლევდა, გაამხნევებდა იმათს მეთვალყურეებს და ზედამხედველებს და პირადად განაგებდა საავადმყოფოთა საქმეებს. დიდბუნებოვანი მეფე საყვარელი შეიქმნა არა თუ მხოლოდ ქართველთათვის, არამედ სხვა ტომის ერთათვისაც. სომხის მეისტორიე მათე ამბობს, რომ „დავითი იყო წმინდა მეფე, კეთილის მყოფელი, აღსავსე კეთილმსახურებითა და სამართლიანობითა. ის სიკეთით და მოწყალებით ექცეოდა სომხობას". ის დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა მაჰმადიანებსაც, შედიოდა მათს მეჩეთებში ლოცვის ჟამს, დახმარებას აძლევდა მათს მგოსნებს და მოღვაწეებს. ოსები დავითს აღმერთებდნენ. მრავალი ტაძარ-მონასტერი აღაშენა (ქვაბთახევი, შიომღვიმის, მარტყოფის, გელათის და სხ.) როგორც საქართველოში, ისე მის გარეშე (საბერძნეთი, ათონი, ასურეთი, ქვიპროზი და სხვ.). დავითი მეტად ცოდნის მოყვარე იყო. მემატიანის სიტყვით, ის წიგნის კითხვით სტკბებოდა: მან შეჰკრიბა პტოლომეოსის მსგავსად ძველი და ახალი წიგნები. წიგნები მისთვის შეადგენდნენ უტკბილეს საჭმელს და სასურველ სასმელს, მის სიხარულს და სასარგებლო წრთვნილებას. დავითი არა ჩვეულებრივი განხორციელებაა სრული ადამიანის იდეალის. მასში გონება ეს, ეს კაცის სულის უმაღლესი ნიჭი, ბატონობდა ნებასა და გულზე და იმორჩილებდა მთელს მის არსებას. მას ჰქონდა რაინდული ტანი და ძლიერ ღონიერი იყო. სახეზე ემჩნეოდა დიდებული სიმშვენიერე... 1125 წელსა 25 იანვარს მეფე მოულოდნელად გადმოვარდა ცხენიდან და ავად გახდა... ცნობიერება არ დაუკარგავს. ანდერძიც კი დააწერინა მოძღვარს არსენ იყალთოელს, ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა და გარდაიცვალა 26 იანვარს შობიდან ორმოცდაცამეტი წლისა. ტირილი და გლოვის ზარი გაისმა მთელ კავკასიაში მისი გარდაცვალების გამო. დაიმარხა გელათის მონასტრის კარიბჭის ეკლესიაში. მისი წმ. ნეშთი იმერთა მეფემ სოლომონ დიდმა (1784 წ.) გადაასვენა გელათის უმთავრესს ტაძარში და დაკრძალა ტრაპეზის ქვეშ. დღემდის შენახულია წმ. დავითის პირველი სამარხის ქვა, რომელზედაც დაწერილია ხუცური ასოებით შემდეგი სიტყვები დავით ფსალმუნთა მგალობელისა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი საუკუნოდ, აქა დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს მე".

დავითმა დაასახლა და გაამხნევა აოხრებული სელჩუკთაგან ქართლ-კახეთი, განაახლა სასულიერო წოდება და დაავალა ექადაგნა სიტყვა ღვთისა. ჯვაროსანთა ომებმა, თვით სელჩუკთა სამეფოში—შინაურმა თვისთა შორის ბრძოლამ და აგრეთვე ქართველ ტომთა ერთობის განხორციელებულმა იდეამ მას დიდათ ხელი შეუწყვეს საქართველოს საქმეთა გამობრუნებასა და თავისუფლების მოპოებაში მან კახეთი, რომელსაც თავის მეფე ჰყავდა, სამუდამოთ შეუერთა ქართლსა. აქ დაარსა მრავალი სასწავლებელი და მათ შორის ორი შესანიშნავი სასწავლებელი: იყალთოსი და გრემისა. ქრისტიანობის შუქი დავითმა ოსთა შორისაც შეიტანა. მან მოარიგა ურთიერთ შორის ოსები და ყიფჩაყები (პოლოვცები). ყიფჩაყთა მეფის ასული გურანდუხტა დავითს პირველ ცოლად ჰყავდა და მათთან კარგ განწყობილებაში იყო. მან შირვანი და დაღესტანი დაიმორჩილა, შირვანის მეფეს თავისი ასული თამარი, ეს წინა მორბედი დიდებულ მეფის თამარისა, მიათხოვა... მეფის ასული შირვანში ქრისტიანობას და ქართულ გავლენას ავრცელებდა. თამარმა თავისი შვილი ქრისტიანობის სიყვარულში აღზარდა. მანვე აღზარდა გიორგი მესამე, მამა თამარ მეფისა. სწორედ ამის გამო გიორგიმ თავის ასულს თვისი აღმზრდელის მამიდა თამარის პატივისცემის და სიყვარულის გამოსახატავად მისი სახელი „თამარი" უწოდა.

დავითმა 1123 წელსა საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი, რომელიც ოთხას წლის განმავლობაში მაჰმადიანთა ხელში იყო, ამათი ბატონობისაგან განათავისუფლა და გახადა ხელახლა საქართველოს სატახტო ქალაქად. დავითმა სომხებიც გაათავისუფლა მაჰმადიანთა მძლავრობისაგან და მათი სატახტო ქალაქი ანისი სომხებსვე დაუბრუნა... სომეხთა კათოლიკოსი, რომელიც ღრე-კლდეებში იმალებოდა შიაით, კვლავ ანისში დააბრუნა. სომეხთა საპატრიარქო მეჩეთად გადაქცეული ტაძარი, სომხის სამღვდელოებას აკურთხებინა და კვლავ საპატრიარქო ტაძრად გადააქცია. მთელ სომხობაში ამ გარემოებამ დღესასწაულებრივი აღტაცება გამოიწვია, რასაც მოწმობენ თანამედროვე სომეხთა მემატიანენი.

დავითმა 1103 წელში მოიწვია სასულიერო და საერო მოღვაწეთა კრება, რომლის დადგენილებას იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ კრებამ დაჰგმო ყოველივე ცუდი ქართველთა ცხოვრებაში და დაამყარა ახალი გზა, ახალი მიმართულება. ნიჭსა და ღირსებას მისცა პატივი. კრების აზრით სხვა და სხვა თანამდებობა უნდა ეძლეოდეს ადამიანს არა ჩამომავლობის, არამედ პირადად ღირების მიხედვით. ამ კრებაში მიიღეს მონაწილეობა ქართველი ერის ყველა წარმომადგენლებმა. ამ კრების დადგენილებანი სხვა და სხვა საკითხთა გამო ხმაა მთელი ქართველ ერისა, მისი სულის სიღრმიდან აღმონახეთქი, ეს შებრძოლებაა გაძლიერებულ აღვირ-ახსნილობისა და თვითნებობის მიმართ. ისეთი მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ქართველი ერის არსებას დავითმა, რომ შემდეგში ვერავითარმა ცდამ აზიელ ბარბაროსობისამ ვერ შემუსრა საქართველოში ქრისტიანობა და ვერ აღიგავა დედამიწის ზურგიდან ქართველთა სახსენებელი. შავთა დროთა ვერ შესცვალეს შემდეგში ქართველის ანდამატი გული. ქართველი ერის გულში იყო ჩადგმული ქართულ ეროვნულ კულტურის საძირკველი, ამ გულზე იყო აღშენებული ეროვნული ტაძარი.

ასეთი შედეგი აქვს დიდებულ გვამის მოღვაწეობას მართალია „დრონი მეფობე" და დროს, გარემოებას დიადი გავლენა აქვს ერზე, მაგრამ დიდბუნებოვანი გვამი არაა სათამაშო ტიკინი ისტორიულ გარემოებათა, არაა მხოლოდ გარემოების საყვირი. ადამიანის მოქმედების უნარს, მის აქტივობას შეუძლიან თავისი წარუხოცველი კვალი დააჩინოს გარემოებათა მსვლელობას... ისტორია ამის მაგალითს მრავალს იძლევა... დავითის დიდებულმა პიროვნებამ მოხიბლა თანამედროვენი... აი როგორი მუზიკალურ ენით ხმატკბილად საუბრობს ამის შესახებ ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელი: „დავით მეფე კაცთ მოყვარე არს, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის, მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის, საყვარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის, მკვირცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის, სახის დასაბამ უცდომელისა ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თეოდორე სკიპტრისმპყრობელთა შორის..." დავითაღმაშენებელი იყო პირველი თვითმპყრობელი მეფე საქართველოსი, პირველი იმპერატორი. დავითამდის ჩვენი მეფეები იწოდებოდნენ საბერძნეთის მეფის კარზე კურატპალატებად, სევასტოსებად, მაგისტროსებად... დავითი კი იწოდება ავგუსტოსად... ამაყმა ბიზანტიამ იცნა დავითი ივერიის თვითმპყრობელად და შეურიგდა იმ გარემოებას, რომ ბარბაროსები, როგორც ქართველებს (და სომხებსაც) ეძახდნენ ბერძნები, მათ გაუთანასწორდნენ როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურად...

ჩვენი ამ მეტად მცირე წერილის საგანია წმ. დავით აღმაშენებლის დღეს ქართველმა გაიხსენოს მისი დიდებული პიროვნება და გადასწყვიტოს თავისი დროს ნაწილი მაინც შესწიროს თავისი საქართველოს ისტორიის შესწავლას... დარწმუნებული ვარ, რომ მშობლიურ ისტორიის შესწავლა ქართველს წელში გაამაგრებს, გაუძლიერებს ეროვნულ თავმოწონების და თავმოყვარეობის სულს, გააფართოებს მის თვალხედვის ისარს, გააღრმავებს მის სოფლმხედველობას, შეაგნებინებს თავის „მე"-ს .. და ამ შეგნებით აღჭურვილი არავის მისცემს ნებას—მის ზურგზე მალაყებს გადადიოდნენ, ფეხქვეშ ხალიჩას აცლიდნენ და ჯერეთ ცოცხალს „სულთათანა აღსრულებულთა" სულს უგალობდნენ.

ი. ფერაძე.

ახალი ამბავი

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძოლის ველზე საგმირო საქმეების გამო პოლკოვნიკობა უბოძა ქართულ რაზმის პოდპოლკოვნიკს თავ. მაჩაბელს; წმ. ვლადიმერის ჯილდო პრაპორშჩიკს ი. ბენდელიანს და წმ. სტანისლავის ჯილდო ბეითალ შანიძეს.

ტრაპიზონის აღების გამო გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ექსარხოსმა პლატონმა ქალაქის სამღვდელოების თანამლოცველობით გადიხადა სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისს დაესწრნენ მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მთელი უავგუსტოეს ოჯახობით და ამალით, სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ქართველი თავად-აზნაურობა, საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლებით ქალაქის და სხვა დანარჩენ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალნი მლოცველნი.

მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ 5 აპრილს ინახულა არქიელი პლატონი მიულოცა სახელწოდების დღე და გადასცა სასიამოვნო ამბავი ტრაპიზონის აღებისა.

თ. სახოკია თბილისში ჩამოვიდა.

დეპუტაცია თბ. გუბერნატორთან. კარდენახის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საზოგადო კრების დავალებით თბ. გუბერნატორი ინახულა განსაკუთრებულმა დეპუტაციამ თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილის და ი. დ. ფირაქაშვილის მეთაურობით, რომელთაც აუხსნეს გუბერნატორს ჩარჩების თავგასულობა სიღნაღის მაზრაში, რომელნიც ხელოვნურად სწევენ ფასებს შაბიამანზე და გოგირდზე. გარდა ამისა იგინი ამას არ სჯერდებიან და ფალსიფიკაციასაც ახდენენ. ურევენ შაბიამანში რკინის და გოგირდში სიმინდის ფქვილს. ამის შემდეგ დეპუტაციამ სთხოვა გუბერნატორს ჩამოერთოთ ამ ჩარჩებს შაბიამანი და გოგირდი. გუბერნატორმა მეტად გულდასმით მოუსმინა თხოვნა და თავის მხრივ დახმარება აღუთქვა.

არქიელის სახელწოდების დღეს 5 აპრილს, ქალაქის სამღვდელოებამ ეპ. ანტონის მეთაურობით არქიელის ეკლესიაში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა და შემდეგ მიულოცა არქიელს. ეპ. ანტონიმ სამღვდელოების მხრივ გადასცა ხატი წმ. ნინოსი ძვირფას სამკაულით და მხურვალე სიტყვით მიმართა.

უწ. სინოდმა თავმჯდომარედ საქართველოს საექსარხოსოს საქმეების სარევიზიო კომიტეტისა, ნაცვლად გარდაცვლილ დეკ. პაშკევიჩისა დანიშნა დეკ. ცინცაძე.

ერევნის ეპისკოპოსი ლეონტი, რომელიც გადაყვანილ იქმნა ორენბურგში უკვე გაემგზავრა თბილისიდან. სადგურზე საქართველოს ექსარხოსმა და ქალაქის სამღვდელოებამ გააცილა.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას 5 აპრილს და განეხილა მოხსენება საგანგებო კომისიისა ურთიერთ შორის დამხმარე კასის დაარსების შესახებ და თავისი განაჩენი გამოეტანა ამ საკითხის შესახებ. კრებამ ამ საკითხის განხილვა გადასდვა თავად-აზნაურთა წლიურ საზოგადო კრებამდე, რომელიც მაისში მოხდება.

მიცვალებულის პატივისცემა. 5 აპრილს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა თავ. ნ. ვ. არღუთინსკის ხსოვნას, რომელიც საზოგადოების დამფუძნებელ წევრად ითვლება და აგრეთვე დაადგინა დაესწრას მის დაკრძალვას 7 ამა თვეს.

ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ გადასდვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ 100 მანეთი; აგრეთვე დაადგინა გამოსცეს მისივე ნაწერების მე-2 ნაწილი.

თეთრ ბილეთებიანი. თბ. ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულომ 4 აპრილს შეამოწმა 9 კაცი თეთრბილეთიანი. ამათში 6 კაცი უვარგისად იცნო, ხოლო 3 სამი გაიწვია ჯარში.

დედათა საეპარქიო სასწავლებელში მოწაფენი საპაფხულოდ დაითხოვეს.

წესდების დამტკიცება. თბილისის გუბერნატორმა დამტკიცა წესდება თბილისის გუბერნიის ყველა უეზდების პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კავშირისა. მოკლე ხანში თბილისში მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრება. დღეიდან ყველა უეზდების მასწავლებლებს შეუძლიანთ კავშირში წევრებად ჩაეწერონ. წევრად ჩაწერა შეიძლება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ბ-ნ ვარ. ბურჯანაძესთან და მასწავლებელ პორფირე წირქვაძესთან (ჩერქეზიშვილის ქ., სახ. 119).

სოფლის მოღვაწენი. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ზუგდიდის მაზრის სასოფლო სკოლების მასწავლებელთა კრებას, 2 აპრილს, რეზოლიუცია გამოუტანია, რომ აღნიშნულ სკოლებში ყველა საგნების სწავლება ქართულ ენაზე სწარმოებდეს, ხოლო რუსული ენა ისწავლებოდეს როგორც საგანი.

სახალხო განათლების მინისტრის განკარგულების გამო წელს სამოსწავლო ინსტიტუტებში, სემინარიებში და მათთან არსებულ სკოლებში გარდა უკანასკნელ კლასებისა გამოცდა არ მოხდება. მოწაფენი წლის ნიშნებით იქმნებიან გადაყვანილნი შემდეგ კლასებში.

საოსტატო ინსტიტუტში ახალ განკარგულების ძალით 15 მაისს თავდება სწავლა. გამოცდა მხოლოდ უკანასკნელ კლასებშია დანიშნული. წელს სწავლას ამთავრებს 13 კაცი, მათ შორის 1 ქართველი.

სავაჭრო და სამრეწველო მინისტრის განკარგულებით შემდეგი ფასები დაწესდა ტყავეულობაზე მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე: 1) ხარის ტყავისა შეუღებელ წაღის ყელზე წყვილი 3 მ. 66 კაპ. 2) შეღებილზე, ქონ გავლებულზე 3 მ. 75 კ. 3) შეუღებელ საპირეზე 1 მ. 90 კ. წყვილზე, 4) შეუღებელზე 1 მ. 95 კ. 5) ცალი ტყავი შეღებილი 5 მან. 90 კაპ. ვინც ზედმეტ ფასად გაჰყიდის დასჯილ იქმნებიან 1 წლით და 4 თვით ციხით.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ 5 აპრილს განიხილა საზოგადოების მარტის ანგარიში. საანგარიშო თვეში საზოგადოებას შემოსვლია 30.214 მან. 67 კაპ. დახარჯულა 29.668 მან. 22 კაპ. 1 აპრილს საზოგადოებას ჰქონია ნაღდ ფულად და სარგებლიან ქაღალდებით 371.308 მან. 49 კაპ.

გალის (სამურზაყანო) სკოლა. გალიდან დაბრუნდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე. ეს სკოლა ითვლება მეორე ხარისხოვან სამრეწველო-სამასწავლებლო სკოლად და სწავლობს იქ 47 ბავშვი. სკოლასთან არსებობს პირველდაწყებითი განყოფილება, რომელშიაც ორმოცი ბავშვი სწავლობს. ბ-ნ ბურჭულაძის იქ მისვლის საგანს შეადგენდა გამოერკვია სინამდვილე ამას წინად გაზეთებში მოთავსებული ამბავისა ქართული ენის სწავლების შევიწროების შესახებ ამ სკოლაში. სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს განკარგულება შესახებ ქართული ენის სწავლების შევიწროებისა ჯერ არ განხორციელებულა სკოლაში და ამ განკარგულების შესახებ არც არავითარი ოფიციალი ცნობა მიუღია წერა - კითხვის საზოგადოებას აღნიშნულ საბჭოსაგან. ბ-ნ ბურჭულაძეს ესაუბრნია საბჭოს თავმჯდომარე დეკანოზ გოლუბცოვთან და ამ უკანასკნელს განუცხადებია, რომ ჩვენ აზრად როგორ მოგვივა ქართული ენა შევავიწროვოთო; ყოველ შემთხვევაში წერა-კითხვის საზოგადოებამ თავისი მოსაზრება წარმოადგინოს ქართული ენის სწავლების შესახებო. ბ-ნი ბურჭულაძე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას ამ დღეებში წარუდგენს მოხსენებას თავის მოგზაურობის შესახებ.

ქ. თელავი.

თელავშიაც აღმოჩნდნენ მილოვადელხანოვები. 2 აპრილს ერთმა ოფიცერმა, აღმოაჩინა გასპარა თათულოვის (კოლიტაშვილის) ჩოხების სამკერვალო-სახელოსნოში, აქაურ კაზარმის ჩიხაუზიდგან ნაპარევი საქონელი; ჩიხაუზიდან ამ ორი კვირის წინად მოიპარეს 50 შინელი. საქმე ასე იყო. აფიცერმა ჯარის კაცი შეგზავნა დუქანში, შინელის სასყიდლად, თითონ კი შორი-ახლოს დადგა. ჯარის კაცმა გაშინჯა ერთი, არ მოეწონა, მეორე მესამე, არ მოეწონა ბოლოს სწორედ ნაპარევი შინელი აჩვენეს, ძალიან მოეწონა, ჩაიცო მაშინვე ჯარის კაცი გამოვიდა და თავის უფროსს აჩვენა, იმანაც ძალიან მოუწონა აარჩევინა 50 შინელი ერთნაირი, ურემზედ დააწყობინა და ბრუდე გზით მოტანილი სწორე გზით გაგზავნა ყაზარმისკენ. თითონ გასპარა კი პოლიციაში გაისტუმრა. მასთან ორიც სხვა დააპატიმრეს.

შეცდომის გასწორება.

შაბიამანისათვის უნდა მიჰმართონ **ინჟენერ შტრანგს** გრიბოედოვის ქუჩაზე, სახლი № 2 (და არა 4 როგორც შეცდომით გვქონდა მოხსენებული) ბინა მე-5.

გაზ. „საქართველო“-ს კანტორა

სთხოვს პროვინციების აგენტებს დაუყონებლივ აცნობონ გაზეთის კანტორას სააღდგომო ნომერი რამდენი იქნება მათთვის საჭირო

დეპუტაცია თავ. არლოვთან

5 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე, მეფის ნაცვლის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების თანაშემწეს თავ. ვ. ნ. არლოვს წარუდგა დასავლეთ საქართველოდან საგანგებოდ წარმოგზავნილი დეპუტაცია, რომელშიაც იყვნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე, გურიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ქ. დ. ერისთავი, შორაპნის საკრედიტო დაწესებულების თავმჯდომარე ბ-ნი ი. გუნცაძე და ქუთაისის სადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე თავ. მელ. ფაღავა. დეპუტაციამ დაწვრილებით განუმარტა თავ. არლოვს სოფლის გაჭირვება ვაზის წამლისა და საკვების უქონლობის გამო. როგორც დეპუტაციამ განმარტა, მიწადმოქმედების დეპარტამენტს აღმოუჩენია ყოველგვარი დახმარება ვაზის წამლის შემოტანისა საზღვარგარეთიდან რუსეთში მხოლოდ ფრიდონოვის სავაჭრო სახლისა და მოსკოვის სახალხო ბანკისათვის. მაგრამ მოსკოვის სახალხო ბანკს ჯერ ვერ მოუხერხებია თავისი საქონლის შემოტანა. მისი შაბიამანი ალექსანდროვკას ნავთსადგურში ყოფილა მოსული და 2 თვე მეტია გემი არ დაუცლიათ. ხოლო ფრიდონოვის შაბიამანი, როგორც ეს სჩანს მიწადმოქმედების მინისტრის წერილიდან 11 მარტის თარიღით (№ 79), რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრ თავ. ა. მ. ერისთავთან იყო მიწერილი, 50,000 ფუთამდე შემოსულა რუსეთში. მაგრამ ამ რიცხვიდან თბილისში მხოლოდ 12,000 ფუთამდე გამოუჩენია ფრიდონოვის კანტორას. სად მიიმალა დანარჩენი 38,000 ფუთი არავინ იცის. კომისია ამტკიცებს, რომ თუ სადმე ვისმეს აქვს შაბიამანი, ეს ფრიდონოვის მიცემული უნდა იყვეს. ყოველ შემთხვევაში კომისია იცნობს ფრიდონოვის შაბიამანს და ამასთანავე წინა წლების დარჩენილი ბევრი არც შეიძლება იყვეს რუსეთში ეს საქონელი. ფრიდონოვს მთელი შაბიამანი პირდაპირ ვენახთა პატრონებისათვის უნდა მიეყიდნა პირველ წამლობისათვის მთავრობისაგან დაწესებულ ფასებში. მაგრამ რადგან მან დიდი ნაწილი შაბიამნისა მიმალა, სოფლის მეურნენი უკიდურეს გასაჭირში ჩაცვივდნენ. ამავე დროს გაჩნდნენ კომისიონერები, როგორც ბახჩიევი და სხ., რომელთაც შაბიამანი აღმოაჩნდათ და თითო ფუთს 45—60 მანეთად აფასებენ. საქმის ასე უნუგეშო მდგომარეობის გამო კომისიამ სთხოვა თავ. არლოვს დახმარება და მფარველობა, რაიცა უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიხატოს იმაში, რომ რევიზია მოახდინოს შაბიამნისა და მევენახეთა შორის გაანაწილოს დაწესებულ ფასებში.

თავ. არლოვმა დიდის ყურადღებით მოისმინა კომისიის განმარტება და შუამდგომლობა და განაცხადა, რომ მეფის ნაცვალმა უკვე მისწერა მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ შაშკოვსკის, რომ პირველ წამლობისათვის უშოვოს ქუთაისის გუბერნიას 20.000 ფუთი შაბიამანიო. გარდა ამისა თავ. არლოვი კიდევ შეჰპირდა კომისიას გუბერნიისათვის 15.000 ფუთს შაბიამანს და 10.000 ფუთ გოგირდს. კომისიის შეკითხვაზე—როდის მოგვეცემა ყველა ეს მასალაო?—თავ. არლოვმა უპასუხა, რომ ამ რამდენიმე დღეშიო.

საკვებ მასალის შესახებ თავ. არლოვმა განუცხადა კომისიას, რომ 2 კვირის განმავლობაში გუბერნიის ყველა კუთხეს საკმაო სიმინდი მიეცემაო.

კიდევ შაბიამანის საქმე

ჩვენი გაზეთის მე-76 ნომერში წერილი არის დაბეჭდილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ბ-ნმა ანანოვმა ქუთაისის მევენახეობა მეღვინეობის კომიტეტის ორდერით 600 ფუთი შაბიამანი გაიტანა ფრიდონოვისგანო.

ამ ამბის განსამარტებლად შემდეგ უტყუარ ცნობას ვაწოდებთ მკითხველებს:

ბ-ნ ანანოვის თხოვნა მარტის პირველ რიცხვებში განიხილა ზემოაღნიშნულმა კომიტეტმა. ბ-ნი ანანოვი სთხოვდა კომიტეტს 8.000 ფუთი შაბიამანის ორდერს. კომიტეტის მრავალმა წევრმა ამ თხოვნის შესახებ პროტესტი განაცხადა და კომიტეტმა დაადგინა უარი უთხრას ანანოვს. გავიდა რამდენიმე დღე და კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა გაიგო, რომ ბ-ნ ანანოვს ფრიდონოვის სავაჭრო სახლისაგან 2.000 ფუთი შაბიამანი გადაეცა. ვინ მისცა ანანოვს ორდერი შაბიამანის გამოტანისა, ჯერ ეს საიდუმლოა. აგრეთვე ისიც საიდუმლოა, ორდერით თუ უორდეროთ მისცა ფრიდონოვის კანტორამ მას შაბიამანი. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, კომიტეტის დადგენილებით უარი უნდა გამოცხადებოდა ანანოვს მის თხოვნაზე და როგორც არა ერთხელ გამოუთქვამთ სურვილი კომიტეტის წევრებს, კომიტეტის დადგენილების გარეშე ორდერი არავისათვის არ უნდა მიეცა კომიტეტს. ამასთანავე მიღებული საერთო წესით ორდერს ხელი უნდა მოაწერონ კომიტეტის თავმჯდომარემ და მდივანმა.

30 მარტს კომიტეტის წევრმა ბ-ნმა იოსებ გუნცაძემ განცხადება მიართვა კომიტეტს. ბ-ნი გუნცაძე თხოულობს, რომ კომიტეტმა 2000 ფუთ შაბიამნიდან იმდენი დაუტოვოს ანანოვს, რამდენიც საჭიროა მისი ვენახების პირველ წამლობისათვის (ე. ი. 40—50 ფუთამდე) და დანარჩენი (1.950 ფუთამდე) ჩამოართვას და დანარჩენ მევენახეთა შორის გაანაწილოს, ვისაც როგორ ესწვდება. კომიტეტის გადაწყვეტილებას ამ საგნის შესახებ თავისს დროზე ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს.

ჭანეთის და ჭანების საკითხი

აზრუმის აღების გამო პატარა საისტორიო ცნობა მოვათავსე „საქართველოში“, სადაც გაკვრით ვამბობდი, ამას შემდეგ გზა გაშლილია ტრაპიზონისკენ მეთქი. ეხლა ტრაპიზონი რუსეთის ხელშია, დედაქალაქია ჭანეთისა, ჭანებისაგან **ქალდედ** წოდებული. ჭანეთი, რომელიც ბუნებრივი ნაწილია ეთნოგრაფიული საქართველოსი (სამეგრელოსი), მესხეთზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჭანეთს ბედმა არგუნა არა თუ ქრისტიანობის ქადაგების (IV ს.), არამედ დარაზმვა თავის შვილებისა (VI ს.), რომელნიც საერთო მამულიშვილობით აღფრთოვანებულნი მოედვნენ ქართლის დაბა-ქალაქებს და ძირს დასცეს ცეცხლის თაყვანისმცემელთა ქურუმების პროპაგანდა. ძველ ქართველთა ნაოსნობას და ხუროთ მოძღვრებას, ჩემის აზრით, სათავეში უნდა სდგომოდენ ჭანები. ჯერ კიდევ სამოციან წლებში ჭანებს ნაოსნობა ჰქონდათ გამართული რიონზე და რიონის სათავის ხეობითგან ბზა ჩამოჰქონდათ. საუკეთესო ხის დარბაზები, ძველი ქართული ხუროთ მოძღვრებით ნაშენი, სულ მათი აგებულია. ვაჭრობაში არც უნდა ყოფილიყვნენ გართულნი, რათგანაც დღევანდლამდისაც, თუმც ოსმალეთის საბრძანებელში სცხოვრებდნენ, ახერხებდნენ რუსეთში ვაჭრობას და მისვლა-მოსვლას.

ჭანები თემობით იგივ მეგრელები არიან, მაშასადამე ჰლაპარაკობენ საერთო ენას, მხოლოდ რჯულით არიან მუსულმანები სუნის რიგისა და ტანთ იცმენ გურულებივით ჩაქურაღ.

რაკი ასეა, ჭანების, ჭანეთის საქმე ქართველთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც აჭარის და სხვა სამაჰმადიანო საქართველოსი, პირველ რიგზე უნდა დავაყენოთ და გავუწოდოთ ხელი ყოველ გვარი დახმარებისა, რომელიც ეგრე საჭიროა ჩვენი ერთობის სიმტკიცისთვის და დიდი რუსეთის ინტერესებისთვისაც.

პეტრე მირიანიშვილი.

მისაბაძი მაგალითი

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიური ამოძრავება დაეტყო. სხვა და სხვა სამეურნეო თუ სამრეწველო დარგში ჩვენ უკვე ვხედავთ ძალებს და ახალ საქმიანობას. თუ წინედ ჩვენი ერი თავის მომავალ ბედიღბალს სოციალიზმის ოცნების ბურუსში ჰხვევდა, დღეს პირიქით ბუნებრივ სინამდვილეს უბრუნდება და ცდილობს ნივთიერ კეთილდღეობაზე ააგოს მთელი თავისი ეროვნული კულტურა. საყურადღებოა სწორედ ის მოვლენა, რომ თვითონ ინტელიგენციამაც განიცადა ეს აუცილებლობა; დღეს არა თუ აღარა ჰგმობს ბურჟუაზიას, პირიქით მას მთავარ შემოქმედების ფაქტორად აღიარებს. მრავალია უკვე ჩვენში ახალგაზდა ინტელიგენტი, რომელი საქმით იდებს თავზედ ვაჭრობის და მრეწველობის გაძღოლას. ნელ-ნელა ჰქრება ჩვენში გაღმერთებული „კულტი ჩინოვნიკისა“ და თანდათან ახალგაზდა, უმაღლეს განათლებით დაჯილდოვებული ქართველი ლამობს რაიმე საქმე შეჰქმნას, როგორმე პატარა კაპიტალი იგდოს ხელში და საერთო ეკონომიურ ცხოვრების ფერხულში ჩაებას. ჩვენ ხელთ არის მრავალი ისეთი მაგალითი, რომლის გამოქვეყნება სიამოვნებას აგრძნობინებს ყველას, ვისაც მართლა გულწრფელად აინტერესებს ჩვენი ქვეყნის მომავალი. მოვიყვან ჯერ ერთს.

ბევრს ეცოდინება, რომ ქიზიყში, კარგა ხანია თამბაქოს მოჰყავთ მისდევენ. წლიური წარმოება ამ უკანასკნელ წლებში თითქმის 125,000 ფუთამდის ავიდა. ისიც ეცოდინება ჩვენ საზოგადოებას, რომ მთელი ამ საქონელი,თ რომლის ღირებულება ორ-სამ მილიონით განიზომება, მუდამ ადგილობრივი სომხის ვაჭარი სარგებლობდა. ეს დიდი ეკონომიური ფაქტი ძნელად თუ ვისმეს აინტერესებდა. ქართველი ინტელიგენცია არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ალბად იმიტომ, რომ უმნიშვნელო მოვლენად მიაჩნდა. ქიზიყელების ნაშრომსა და ნაოფლს სხვა ეპატრონებოდა და ჩვენ კი ვისხედით და ვბჭობდით იმაზედ, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო მთელი ქვეყნიერება. ვოცნებობდით მომავალზე და ამავე დროს კი ხელიდან ეცლებოდა ჩვენ ხალხს მილიონები. მართალია, იყო შემთხვევა, სცადა მაგ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა ამ საქმის მოგვარიანება და მოწესრიგება. აკი არ დაიშურა თავისი ქონება, დახარჯა რამდენიც კი შეეძლო, ააგო ფარდულები, შემოიკრიბა გარშემო თამბაქოს მწარმოებელნი და დაისახა მიზნათ დაეხსნა მშრომელი ხალხი ჩარჩებისაგან. მაგრამ ვერას გახდა და დამარცხდა. მარტოხელა კაცმა ვერ შესძლო ამ დიად საქმის გაძღოლა. ჩვენი ინტელიგენცია ამგვარ უმნიშვნელო საქმეს ყურადღებას არ აქცევდა. ამის შემდეგ ბურთი და მოედანი ისევ მევახშეებს დარჩათ. გამარჯვებულებმა უფრო მუხრუჭი მოუჭირეს ქიზიყელებს და ბოლოს ისე გათამამდნენ, რომ საუკეთესო ოსმალურ ჯიშის თამბაქოს 3—5 მანეთში ყიდულობდნენ ფუთს. ასე იყო 1915 წლამდის. მაგრამ დადგა დრო და ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამ იწყო გამოფხიზლება. გამოჩნდნენ ისეთი პირნიც, რომელთან აშკარათ დაინახეს თუ საითკენ უნდა ყოფილიყო მიპყრობილი მათი გულის-ყური. „ეკონომიური აღორძინება“ აი ის დევიზი რომელიც წარმოშვა თვით ცხოვრებამ და მიიზიდა გონიერი ახალგაზდობა. თავისუფალმა ქიზიყმა ყველაზედ უწინ წარმოშვა ამ სურვილით გატაცებული რამდენიმე ინტელიგენტი. ერთი მათგანი, სხვა ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით, შეუდგა ქიზიყის თამბაქოს მოგვარიანებას. ვინ იყო ეს ახალგაზდა? სულ უბრალო უნივერსიტეტის სტუდენტი, ხელმოკლე ქართველი. არაფრის მქონე, მაგრამ დიდი სურვილით აღჭურვილი

კარგათ ესმოდა ამ ახალგაზდას რომ ქართველობას საუბედუროთ არ ჰყავს მსხვილი ბურჟუაზია, რომელსაც შეიძლებოდა საგრძნობი მეტოქეობა გაეწია სომხებს ვაჭრებისვთის. უკანასკნელის ალაგმა შეიძლება მხოლოდ თამბაქოს ბაზრის მოპოვებით. კარგა ხნის შრომის შემდეგ მალე კიდევაც მოახერხა და შესძლო დამოკიდებულება დაეჭირა ისეთ სააქციონერო ამხანაგობასთან, როგორიც არის „ექსპორტის საზოგადოება“. წარსულ წელში სამი დირექტორის თანხლებით ჩამოვიდა ქართველი სტუდენტები საქართველოში, აჩვენა ქიზიყელების თამბაქო და ყოველი ღონე იღონა, რომ დამოკიდებულობა არ შეწყვეტილიყო. აქციონერთა წარმომადგენლებმა თამბაქო მეტად მოიწონეს, ძალიან ხელსაყრელად იცნეს და მაშინვე გახსნეს ქალაქ ოძელოსში თავიანთ განყოფილება. ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვანმა ფაქტმა ნაყოფიც მალე გამოიღო. ქიზიყში თამბაქოს ყიდვის დროს სომხებთან ერთათ გაჩნდნენ უცხოელნიც. მევახშეების გათამამებულ ფარფაშს მყისვე ბოლო მოეღო. ახლა კი ვეღარ ახერხებენ ძველებურად თამბაქოს ხელში ჩაგდებას. ცნობილმა ადგილობრივმა მოვახშემ „გაგუცლმა სერგომ“-აც (გვარად სიმონიანც) იკადრა ფუთ თამბაქოში 18—19—20 მანეთის მიცემა. შედარებით წარსულ წლებთან 1916 წელს ქიზიყელებმა ზედმეტი აიღეს მილიონ ნახევარი მანეთი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ომიანობამ თამბაქოს ფასები დასწია. თვით პეტროგრადის სააქციონერო საზოგადოებამ მოქმედებამ სავსებით ვერ გააფართოვა, რადგან ნაყიდ საქონლის რუსეთში მეტად ძნელია. [illegible] შემდეგ, ამას მერე [illegible], ახალგაზდა ინტელიგენტი განაგრძობს მეთოდიურ მუშაობას. ჩვენ ვიცით, რომ მას უკვე მიწერ-მოწერა არ აქვს გამართული ფინლიანდიის სააქციონერო საზოგადოებასთან და სცდილობს ქიზიყის მომავალი მოსავალი შეაყიდვინოს.

ამას ჰქვიან საქმე. ახლა კი შეიძლება დანამდვილებით ითქვას რომ ქართველი ინტელიგენტი მართლაც ზრუნავს თავის ხალხის კეთილდღეობაზე. ეს არის მისაბაძი მაგალითი და არა გოდორზედ შეხტომა და უსაბუთო, უსუსური ლაყბობა. ქართველი ახალგაზდა ინტელიგენტი მაშინ დაიმსახურებს ქართველ ხალხის ყურადღებას, როდესაც ეკონომიურად გაძლიერებაში დაეხმარება.

შერიმ.

ტრაპიზონის აღების გამო ④

5 მარტს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას გუბერნიის მარშალმა თავ. კ. ნ. აბხაზმა აუწყა ამბავი შესახებ ტრაპიზონის აღებისა რუსის მხედრობის მიერ. კრებამ აღტაცებით მოისმინა ეს ამბავი და დაავალა თავად აბხაზს მისალოცი დეპეშა გაეგზავნა მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისათვის, რაიცა თავადმა აფხაზმა მაშინვე შეასრულა. იმავე საღამოს დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისაგან შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა მიიღო თავ. აბხაზმა: ჭეშმარიტად ღვთის მადლი ცხადად თავს დასტრიალებს კავკასიის მხედრობას. მხედრობისა და ჩემს მაგიერ გულითად მადლობას ვუცხადებ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას მილოცვისა და გრძნობათა გამოცხადებისათვის.

მცირე განმარტება

„სახ. ფურც.“-ის ახალ ამბებში მოთავსებული იყო ცნობა ირ. ევდოშვილის გადმოცემული (როგორც გაზეთი სწერდა), კრებულში სამასამდე ლექსი აკლიაო. ამის გამო საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ჩემ მიერ გამოცემულ კრებულში მოთავსებულია ყველა ლექსები. პოემები, და მინიატურები, რაც კი პატივცემულმა მგოსანმა გადმომცა დასაბეჭდად და ამათგან **არც ერთი ლექსი არ გამომიტოვებია.** მგოსანთან , წინასწარ თათბირის დროს გადავწყვიტეთ, კრებულში არ შეგვეტანა ცენზურის მხრივ სახიფათო ლექსები, რომელთა რაოდენობა ასამდე ვივარაუდეთ, რაც კრებულის წინასიტყვაობაშიაც მოვიხსენიე.

ვსარგებლობ შემთხვევით და მწუხარებას გამოვთქვამ, რომ კრებულში მოთავსებულ საბიოგრაფიო ცნობებში სამწუხარო შეცდომაა შეპარული პირველი ლექსი 1913 წ. დაიბეჭდაო, უნდა ყოფილიყო 1893 წ.

ნ. კურდღელაშვილი.

აჭარა

(სიტყვა და საქმე)

1915 წლიდან ქართველმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია თავის მოძმე აჭარლებს. ყველამ სურვილი განაცხადა რითაც შეიძლებოდა დახმარება აღმოეჩინათ თავის მოძმე მაჰმადიან ქართველებისათვის. ჩვენმა ასეთმა მოქმედებამ აჭარლებიც გამოაფხიზლა და ქრისტიან ქართველების სიყვარული ჩაუნერგა გულში.

ყველა აჭარელს სურვილი ჰქონდა გაეგო, თუ რა ხდებოდა საქართველოში და რას აკეთებდნენ მათი მოძმენი.

თუ იმ უბედურებამდე ერთ აჭარელს ვერ ნახავდი გაზეთის მკითხველს ან წანაკითხის მომსმენს, გასულ წლიდან ძალიან ხშირათ გაიგონებთ ხვეწნას, გაზეთი წაგვიკითხეთო. ვინც კი კითხვა იცის დიდათ სარგებლობს იმ გაზეთებით, რომელიც მოგვდის აქ. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ აქ ძალიან ცოტა გაზეთებს ვღებულობთ და მკითხველთა სურვილს ვერ ვაკმაყოფილებთ. დარწმუნებული ვიყავით ასეთ მოვლენას, როგორც ცოდნის სიყვარული აჭარაში; ჩვენი ქართველი ინტელიგენცია გამოიყენებდა და აჭარას ჟურნალ-გაზეთებით და საჭირო საკითხავი ქართული წიგნებით მოფენდა. მაგრამ საუბედუროთ ეს ასე არ მოხდა.

ჩვენ ვფიქრობდით გამოჩნდებოდენ ისეთი პირებიც, რომელნიც იკისრებდნენ აჭარაში ყოფნას, აჭარლების პატრონობას და იზრუნებდენ მათ გათვითცნობიერებაზედ.

დაახლოებით დღეს ასეთ პირებათ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი მასწავ-

ლებლები და აჭარის ორიოდე დროებითი სტუმარი. აჭარის ყრუ სოფელში მომწყვდეულ მასწავლებელს, რომელიც ღებულობს ჯამაგირს 30 მან. აბა სად შეუძლიათ ჟურნალ-გაზეთებისა და საჭირო საკითხავი წიგნების გამოწერა ისიც ასეთი სიძვირეში.

დარწმუნებული ვიყავით ჩვენი რედაქციები არ დაიშურებდნენ აჭარაში გამოეგზავნათ რამოდენიმე ცალი თავიანთი გამოცემისა. ამის საჭიროება ყველაზედ უწინ აღნიშნული იყო „აზრში" (წასულ წელს), რასაც შედეგათ ის მოყვა, რომ თვით „აზრის" რედაქციამ დაიწყო „აზრის" გამოგზავნა 4 ცალი ხულოს და 4 ქედაში. „სახალხო" გზავნის თითო ცალს. „საქართველო" 3 ცალს გზავნის და გვატყობინებს თუ საჭირო იქნება მეტსაც გამოგვიგზავნიან.

გაზეთების მკითხველთა რიცხვმა ძლიერ იმატა, მოთხოვნილება ბევრი არის და საჭიროდ მიმაჩნია მოვაგონოთ ჩვენს რედაქციებს რაც შეიძლება მეტი მოგვაწოდონ თავიანთი გამოცემებისა. აგრეთვე მოვაგონებ „სახ. ფურცლის" რედაქციას, თუ შესაძლებლად სცნობს ერთი ნომრის მაგიერ ცოტა ზედმეტი გაიმეტონ, რადგან ეს მათთვის დიდ ხარჯს არ გამოიწვევს.

ამავე დროს ვთხოვ გამომცემლებს ჟურნალებისას:

„განათლების" „ნაკადულის" „ჯეჯილის" „თეატრი და ცხოვრების" და „მათრახის" ნუ დაიშურებენ და გამოგზავნონ თავიანთი გამოცემები, რითაც დიდ დახმარებას გაუწევენ აქაურ მკითხველთ. ამავე დროს შეძლება მიეცემათ ჩვენს მასწავლებლებს და მწიგნობართ, რათა მათ ამოკრიფონ საჭირო მასალა ჟურნალ გაზეთებიდან და გადასცენ თავიანთ მსმენელებს.

აგრეთვე საჭირო არის საკითხავი ქართული წიგნები, რომელიც აქ სულ არ მოიპოვება. თითქმის ყოველ დღე წერილებს ვღებულობ მასწავლებლებიდან რომელნიც ზედა აჭარაში არიან (სულ 7 სასწავლებელია), და მთხოვენ ქართულ წიგნებს, რადგან მათ ესაჭიროებათ ხალხისთვის საკითხავათ.

ყველა ზემო ჩამოთვლილის შესრულება გარდა ჟურნალ-გაზეთებისა, ევალება შეასრულოს ქართველმა საზოგადოებამ, რითაც დიდ სულიერ დახმარებას გაუწევენ თავიანთ მოძმე აჭარლებს. ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: სოფ. ხულო ზედა აჭარა. გიორგი ფ. კაჭახიძეს, რასაც საჭიროებისამებრ დავუგზავნი.

გ. კაჭახიძე..

მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ყოველ იმ უბედურების შემდეგ, რაც განიცადა ომის გამო ქართველმა ერმა, ჩვენ ვპოვეთ უძვირფასესი განძი, რაც ყოველგვარ გასაჭირს ანაზღაურებს. ქართველ-მაჰმადიანებთან დაახლოვებაზე და ძმურ მეგობრულ განწყობილებაზე მოგახსენებთ.

დილის ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც შავშეთის აღმართს შევუდექი ჩემი ბედაურით. კარგა დაშორებით შევამჩნიე მიმავალი ურემი, რომელსაც მალე წამოვეწიე. ურემში იჯდა ორი ახალგაზდა გურულად გამოწყობილი ყმაწვილი კაცი, ერთიც სრულიად გათეთრებული მოხუცი, რომელსაც მორთულებით ეტყობოდა, რომ მოლა იყო...

— სალამ-ალექუმ,—მივმართე მისვლისთანავე.

— ალექუმ—სალამს, — მიპასუხეს ყველამ ერთად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ხნის შემდეგ მომმართა მოხუცმა:

— თქვენ ვინა ბრძანდებით, ეფენდი, ან საით მიხვალთ?

— მე სოფ. ნ-ს ვმსახურობ ექიმის თანაშემწეთ „ჯამიათი ხეირიას" მხრით.

— ჰო, ვიცი, ვიცი, გამიგონია—მითხრა გახარებულმა მოხუცმა, ხელი გამომიწოდა და მომმართა.

— შენ ჩვენი სისხლი ხართ, ჩვენი ძმა, მეც ქართველი მაჰმადიანი ვარ მოლა ეფენდი გ—ძე.

ეს სიტყვები ისეთი აღფრთოვანებით იყო წარმოთქმული, რომ ცრემლები ველარ შევიკავე და გულმა დაგა-დუგი დამიწყო... გულმა იგრძნო ძმის ნახვა... და გაიხარა.

— მოლა ეფენდი ქართული გეცოდინებათ?

— რა საკადრისია,—მითხრა ქართულათვე,—ჩემს სამშობლო ენას როგორ დავივიწყებ, მე სულ იმის მოქადაგე ვარ, რომ რომელ რჯულსაც გინდა ემსახურე შენის მოწონებით და რწმენით, მხოლოდ ეროვნებას და სამშობლო ენას არ უნდა უღალატოთ. აი ეხლა ჩვენმა მოძმე ქართველებმა სკოლები გაგვიგსნეს და ის მშობელი ქართველი მაჰმადიანი მოღალატე იქნება თავისი სამშობლოსი, ერისა, თუ თავისი შვილი იქ სასწავლებლად არ მიაბარა.

კიდევ ბევრი ვისაუბრეთ ათასგვარ საჭირბოროტო საკითხზედ და ორთავენი თვალებზედ ცრემლ მორეულნი დავშორდით...

მხოლოდ მიმავალს რაღაც საიდუმლო ხმა ჩამჩურჩულებდა—შენი დაკარგული ძმა ხომ ჰპოვე, ახლა გაუფთხილდიო...

ვ. ხ—შვილი

პეტრე მაჭავარიანის ხსოვნას

ფრიად სამწუხარო, ამბავი ამოვიკითხე „საქართველოში": პეტრე მაჭავარიანს თავი მოუკლავს; განსვენებული სათნო, პატიოსანი, კეთილშობილი, საზოგადო საქმის გულშემატკივარი ადამიანი იყო. ვერ შეურიგდა ბიუროკრატიულ დაწესებულებებში სამსახურს და ისევ სოფელს დაუბრუნდა, ხალხში დაიწყო მუშაობა; მუშაობდა ჩუმად, გულწრფელად და ხელს უწყობდა სოფლად კულტურულ დაწესებულებათა ზრდას და მათ კეთილ ნაყოფიერებას. კიცხის საზოგადოებაში მისი თაოსნობით დაარსდა საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც ხალხს მალამოთ მოევლინა. დღიდან დაარსებისა ხსენებულ დაწესებულებას სათავეში ედგა და უანგაროდ უწევდა ბანკის საქმეებს ხელმძღვანელობას. თავისი მიუდგომელი მოქმედებით და საქმის სიყვარულით დიდათ ქონდა დამსახურებული ხალხში ნდობა და პატივისცემა. „ფულის დაკარგვაში წილი არ მიდევსო" დაუწერია საცოდავს,—რატომ დარწმუნებული არ იყავი, კეთილო ადამიანო, რომ შენ ამ ბნელ საქმეში მონაწილეობის მიღებას ვერავინ დაგაბრალებდა, ერთი წვეთიც არ შეიტანდა იჭვს... ავაზაკმა ადამიანებმა ამხანაგობის კასიდან სახალხო ფული გაიტაცეს, სიმართლის აღსადგენად რა საჭირო იყო შენი ნაყოფიერი სიცოცხლის ტრაღიკულათ მოსპობა. საუკუნოდ იქნება შენი კეთილი სახელის ხსენება, უმწიკვლო, სახალხო მუშაკო იმ ხალხში, რომელშიაც შენ ტრიალებდი.

გრ. საქარიქედელი

ქალაქის საბჭო

5 აპრილის სხდომა.

თავმჯდომარემ **ა. ი. ხატისოვმა** კრებას აუწყა ტრაპიზონის აღება რუსეთის მხედრობის მიერ და წაუკითხა მისალოცი დეპეშების პროექტი ქალაქის თვითმართველობის მხრივ მეფის ნაცვალთან, დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან და აგრეთვე კავკასიის მხედრობის კომანდირ გენერალ იუდენიჩთან. კრება აღტაცებით მიეგება ტრაპიზონის აღების ამბავს და დეპეშები მოიწონა.

შემდეგ თავმჯდომარემ აუწყა კრებას მეფის ნაცვლის სურვილი, რომ ქალაქის თვითმართველობამ 5 კაცი გაგზავნოს საერობო თათბირზე, რომელიც 26 აპრილს დაიწყება მისი უმაღლესობის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით. ვინაიდან აღნიშნულ კრებაზე ა. ი. ხატისოვი, როგორც ქალაქის მოურავი, აურჩევლად უნდა დაესწროს კრებას, ხოლო ხმ. გ. მ. თუმანოვი უკვე არჩეულია საბჭოსაგან, ეხლა ასარჩევი დარჩა 3 წარმომადგენელი. კრებამ დაასახელა 5 კაცი: გ. დ. ჟურული, ი. მ. დოლუხანოვი, ა. ი. მიტკევიჩი, ა. მ. არღუთინსკი და ა. ს. ბაბოვი. ბარათების ჩამოტარებით არჩეულ იქმნენ: გ. დ. ჟურული 28 ხმით, ი. მ. დოლუხანოვი 21 ხმით და ა. ი. მიტკევიჩი 18 ხმით. კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ტრამვაის მოსამსახურეთათვის შრომის ფასის მომატების შესახებ.

მოსამსახურეთა თხოვნა განუხილავს საბიუჯეტო—საფინანსო, სარევიზიო და სატრამვაიო კომისიების შეერთებულ კრებას და საჭიროდ უცვნია სასყიდელი მოემატოთ მოსამსახურეთ ომის გათავებამდე. გამგეობის ანგარიშით ამ საგნის დამატებითი ხარჯი მიმდინარე წლის განმავლობაში შეადგენს 102—110 ათას მანეთს.

ხმ. ტერტეროვის აზრით ტრამვაის ხარჯი თუ გადიდდება, იმ შემთხვევაში შემოსავალმაც უნდა იმატოს. ამიტომ წინადადებას იძლევა, რომ ტრამვაიზე სამოგზავრო ფასს მოემატოს. ამავე აზრისანი არიან **ხმ-ბი დოლუხანოვები, მიტკევიჩი და ენფიაჯიანცი.**

ხ-ბმა მესხიშვილმა და გოთუამ ურჩიეს კრებას, რომ მოსამსახურეთა შუამდგომლობა უთუოდ დაკმაყოფილებულ იქნას, რადგან ამას თვითონ ცხოვრება თხოულობს. ამასთანავე, გოთუას აზრით, გადადებულ უნდა იქმნას 130.000 მანეთი, რომელიც უნდა განაწილდეს იმ წესით, რომ ვინც ნაკლებ შრომის ფასს ღებულობს, იმას მეტი მიეცეს ამ ფულიდან, ხოლო ვისაც მეტი ეძლევა, იმას ნაკლები მიეცეს. ფულის განაწილება უნდა მიენდოს გამგეობისა სხვა და სხვა კომისიებისა და თვით მოსამსახურეთა წარმომადგენლების საერთო კრებულს.

კრებამ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მოსამსახურეთა და ამ საქმისათვის 110 ათას მანეთამდე გადასდვა 1 მარტიდან წლის დამლევამდე. ფული მიეცემათ მოსამსახურეებს დახმარების სახით ცხოვრების სიძვირისა გამო.

„ხმა მოწაფისა"

ამ სათაურით „სახალხო ფურცელი"ს მე-525 ნომერში მოთავსებულია ერთი პატარა წერილი ვინმე „მოწაფე მიქაელისა". ეს წერილი შეეხება ქართული ენის შესწავლას სკოლებში საზოგადოდ და აქ მოთავსებულია სხვა და სხვა დროს ნათქვამი აზრები ქართული ენის სწავლების შესახებ.

საიდგან გაიგო ამ პატივცემულმა მოწაფემ, ვითომ სასულიერო სემინარიაში, ვისაც არ სურს ქართული ენის შესწავლა, ქართული ენის მაგივრად აირჩიოს ბერძნული (სხვა ენების შესწავლა ყველასათვის სავალდებულოა) და ეს უკანასკნელი არჩიონ თავის დედა-ენას. სემინარიაში, როგორც ვიცით, გადმოდიან სასულიერო სასწავლებლის გათავების შემდეგ სემინარიის პირველ კლასში და ამ უკანასკნელ კლასში მყოფ მოწაფეებს ქართული ენა საკმაოდ აქვთ შესწავლილი და არა ანბანიდან იწყებენ. სემინარიაში ეხლა არ მოიპოვება ისეთი ქართველი მოწაფე, რომელიც თავის დედა-ენის მაგივრად სხვა ენას სწავლობდეს. პირიქით, სემინარიის მოწაფეები ნამდვილი მამულიშვილური გრძნობებით არიან აღჭურვილნი და ყოველთვის ვხედავთ მათ შეგროვილს ერთად და მოკამათეებს—დედა-ენის გასაუმჯობესებლად და სხვა. ყველა ქართულ სამკითხველოებში უმეტეს ნაწილად სემინარიელები იმყოფებიან და დიდ თვალყურს ადევნებენ ჩვენი ერის ჭირ-ვარამს. სემინარიელების შეურაცხყოფაა ის ცილის წამება, რომელსაც გვაწვდის „მოწაფე მიქაელ"-ი—ვითომ ქართველი სემინარიელები ვსტოვებდეთ ჩვენს საყვარელ დედა-ენას და მას სხვა ენის სწავლებას ვამჯობინებდეთ. დიდი სიცრუეა, რასაც დაამტკიცებს ჩვენი ქართული ენის მასწავლებელი ვ. ბარნოვი, რომელსაც თვის კლასში ისეთი მოწაფე ვერ უნახავს, რომ ქართულის გაკვეთილი ზედმიწევნით არ იცოდეს. ყველა აღტაცებით და გულმოდგინეთ ვეპყრობით ქართული ენის სწავლას.

ქართული ენა ძლიერ კარგათ ისწავლება სემინარიაში. ყოველ კლასში სამ სამი გაკვეთილი გვაქვს კვირაში და ზემოხსენებული მასწავლებლის მომჭირნეობით არ ვხდებით, ჩვენი ლამაზი დედა-ენის უარისმყოფელნი.

ძლიერ სამწუხარო გავლენას იქონიებს ჩვენს ახალგაზრდა თაობაზე ასეთი ცილის წამება.

ილია სემინარიელი.

ღია ბარათი

— მოსკოვის კომერ. ინსტიტუტთან არსებულ ქართულ სათვისტომოს მოვალეებს.

დიდი ხანია რაც გამგეობამ-თანახმად საერთო კრების დადგენილებისა—მრგმართათ თქვენ პრესის საშვალებით, რომ თქვენზედ დარჩენილი ვალი შემოგეტანათ სათვისტომოში; საერთო კრებამ მაშინვე დაავალა გამგეობას, რომ თუ მოვალეები არ შემოიტანდნენ ვალს ერთი თვის განმავლობაში დღიდამ გაზეთებში წერილის გამოქვეყნებისა — გამოცხადებულიყო მათი ვინაობა პრესაში.

მიუხედავათ აგეთი დავალებისა, გამგეობას დღემდე არ მოუყვანია სისრულეში საერთო კრების დადგენილება და აი რატომ: გამგეობას ღრმად სწამს: 1, რომ პრესის დატვირთვა აგეთი საქმეებით, როდესაც მას მეტი საჭირ-ბოროტო საქმეები აქვს თანამედროვე დროში—ზედმეტად არა სასურველ მოვლენად მიაჩნია და მას, გამგეობას, სიკმაოდ ფართოდ ესმის ჩვენი პრესის მიზანი და დანიშნულება, რომ ხშირად ზედმეტი ბარგი არ აჰკიდონ მას ზურგზედ; 2,—რომ პრესაში მოვალეების სიის გამოქვეყნება—ეს მათ მოქალაქობრივ სიკვდილს უდრის და პირადი ღირსების უარის ყოფას ნიშნავს...

მიაჩნდა რა ზემო აღნიშნული უკიდურესად სამწუხარო და არა სასიამოვნო მოვლენად, გამგეობა აგვიანებდა საერთო კრების სურვილის სისრულეში მოყვანას; იგი მრავალ გზით მიმართავდა ამ აკადემიურ წლის განმავლობაში კერძო ბარათებით კერძო პირებს (მოვალეებს) და დაჟინებით სთხოვდა მათ საერთო ფული თავის ადგილზედ დაებრუნებიათ; მაგრამ, სამწუხაროდ, გამგეობის ცდამ თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა და დღეს, იგი გამგეობა ზნეობრივად ვალდებულია, როგორც აღმასრულებელი ორგანო, დაგვიანებით მაინც შეასრულოს სათვისტომოს უმაღლესი ინსტანციის—საერთო კრების გარდაწყვეტილება.

უწევს რა ანგარიშს ყოველივე ზემო აღნიშნულს გამგეობა მიმართავს სათვისტომოს მოვალეებს, ეუბნება მათ **უკანასკნელ სიტყვას:** თუ იგინი ვალს არ დააბრუნებენ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა **ყოვლის მიზეზის გარეშე** მათი ვინაობა და თანხის რაოდენობა გამოცხადებულ იქნება ქართულ პრესაში.

ეს არის უკანასკნელი მიმართვა და მასთანვე ერთად გადაჭრილი. დანარჩენი პასუხის გებას გამგეობა თავზედ არ იღებს და ყოველივეს ანდობს მოვალეების სინდისს და მათ მოქალაქობრივ აღზრდა-შემეცნებას!

მისამართი: Москва Коммерческій Инст. ст. С. Б. Гошадзе.

სათვისტომოს თავმჯდომარე.

გენ. მიხელიძე.

მდივანი ი. სალაძე.

სასულიერო სემინარიაში

წელს თბილისის სასულიერო სემინარიის ოთხი კლასი დაასრულა 57 ქართველმა მოწაფემ. მათი გვარები შემდეგია:

I განყოფილება: ალადაშვილი შალვა, ბრეგვაძე გერმოგენი, გაბისონია სერგი, დედაბრიშვილი მიხეილ, გამრეკელი ანდრია, იოსავა არქიპო, კობახიძე ნიკოლოზ, კერვალიშვილი ილია, კილურაძე შალვა, კანდელაკი სერგი, კვაჩაძე ივანე, მჭედლიძე ალექსანდრე, მომოფრია სიმონი, მახ ლიძე სოფრონი, მესხი გრიგორი, ნუცუბიძე დავითი, ტვალტვაძე შალვა, ხატიშვილი ელიზბარ, ხახანაშვილი გიორგი, ხუხუნი ვისარიონი, ჭრელაშვილი მიხეილი, ნოზაძე სიმონი.

II განყოფილება: ბუჩუკური ვლადიმერი, გამრეკელი ირაკლი, გახარია ნიკოლოზ, გორდეზიანი ბენედიქტე, ზაუტაშვილი ილია, ენუქიძე ბიკენტი, იოსავა ორესტი, კასრაძე სერგი, კუხიანიძე იულონი, კვირკველია დომენტი, მაისურაძე ივანე, მაჯგანაძე ლავრენტი, მაკალათია ნიკოლოზ (პირველ. გაათავა), მაკასრიშვილი დავითი, მაღრაძე კონსტანტინე, შველიძე ნიკოლოზი, მალანია ანტონი, მერებაშვილი ირაკლი, ნუცუბიძე რაჟდენი, ნემსაძე კონსტანტინე, სამადაშვილი გალაქტიონი, სვანიძე გედევან, ტვალტვაძე ნიკ., უკლება დავით, უშვერიძე იპოლიტე, შანიძე კოსტანტინე, შილოკაძე ანდრო, შიო ფეიქრიშვილი კოსტან. ჩახნიაშვილი პლატონ; ჩეკურიშვილი კირილე, ჩიკვაიძე გიორგი, სხირტლაძე ზაქარია, ქოჩიაშვილი ილია, ქიქოძე ივანე, ხუციაშვილი დავითი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ წერილს.

ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიის კრებული და მნათე მადლობას უძღვნის ქ-6 ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას და ბ. ადამ ივანეს ძე ფორაქაშვილს, რომელთაც აღმოუჩინეს ხსენებულ ეკლესიას 510 მ. ნივთიერი დახმარება, პირველმა—310 მან., მეორემ—200 მ.

ამასთანავე წმ. მარინეს ეკლესიის კრებული და მნათე მადლობას უძღვნის განსვენებულ ილარიონ ივანეს ძის ელისაშვილის მემკვიდრეებს, რომლებმაც შემოსწირეს იმავე ეკლესიას 120 მან. ღირებული ჰაღი.

ზემოდ აღნიშნული პირნი დიდი მადლობის ღირსნი არიან მით უმეტეს, რომ მათ არც წინა დაუზოგავთ თავიანთი უხვი მოწყალება ჩვენი ღარიბ ეკლესიის საკეთილდღეოთ.

მღვდელი ი. ტატიშვილი.

შემოწირულება

მიიღო შემოწირულება ქართულ საველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობამ, სხვა და სხვა პირთა და წესებულებათაგან, მარტში 1916 წ.:

სეულ-ბულაღის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისაგან აჭარელთათვის 55 მ. 46 კ., ტომსკის ქართულ სათვისტომოსაგან წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 98 მან. 65 კ., ხარფუხის საზოგადო კლუბისაგან აჭარელთათვის 200 მან., ნ. სიხარულიძისაგან მომღერალ გურულ გუნდის ტანთსაცმელისათვის 200 მან., ბაქოს კომიტეტისაგან ომისაგან დაზარალებულთათვის 1000 მან., ვ. ს. რუხილაძისაგან აჭარელთათვის 1500 მან.

სხვა და სხვა პირთაგან:

წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 259 მ. 81 კ., დამშეულთათვის 21 მან., საზღვარგარეთელ სტუდენტებისათვის 50 მან., სოფელ გვერთლებისათვის 1 მან. სულ 331 მან. 81 კაპ.

გადმოხვეწილთა საქმის მთავარ რწმუნებულისაგან გადმოხვეწილთა ბავშვთათვის 83 მან. სხვა და სხვა პირთაგან „სახალხო ფურცლის" რედაქციით აჭარელთათვის 433—15.—ვულფა ხაიმის ძის გუბერმანისაგან, მოსკოვიდან, 10 მ. მოსკოვის სამხატვრო-სალიტერატურო წრისაგან ქ. თბილ. თავის ხელით, გადმოხვეწილ ბავშვთათვის 200 მ. ბოდბის-ხევის შემნახველ-გამსესხებელ ამხ. გამგეობისათვის 200 მ. ძმ. სეილანოვების სავაჭრო სახლისაგან შემოწირულება, ეგიშა სეილანოვის სულის მოსახსენებელ სადილის გამართვის მაგიერ 100 მ. სულ 4.412 მან.—07 კ.

მთავარ გამგეობის ბუხგალტერი **ვ. ჩარკვიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(ადგილობრივი ტფილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ.	მ. 9	8.53	სალ.
„	საფ.	„ 3	9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„ 19-20	3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„ 4	10.20	სალ.
„	ჩქარი	„ 6	12.8	დღის
„	სამგ.	„ 8	11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„ 4-3	11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ. 4	9.30	სალ.
„	სამგ.	„ 10	9.51	დილ.
ბაქოდან	საფ.	„ 3	9.3	დილ.
„	ჩქარი	„ 5	7.41	სალ.
„	სამგ.	„ 7	1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„ 19-20	7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„ 4-3	8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23 „	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43 „	„
ვაზიანიდან . .	10 „	42 „	„
იორიდან . .	11 „	35 „	„
საგარეჯოდან .	12 „	17 „	„
ბადიაურიდან . .	1 „	15	დღის
მელაანიდან .	2 „	37 „	„
გურჯაანიდან .	4 „	08 „	„
ვაჩნაძიანიდან .	4 „	58 „	„
თელავში მიდის .	5 „	35 „	„
გურჯაანიდან .	4 „	18 „	„
კარდენახიდან .	4 „	50 „	„
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15 „	„

თელავიდან

თელავიდან . . .	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან . .	9 „	45 „	„
გურჯაანიდან .	10 „	46 „	„
მელაანიდან .	12 „	02 „	„
ბადიაურიდან .	1 „	13 „	დღის
საგარეჯოდან .	2 „	15 „	„
იორიდან .	2 „	53 „	„
ვაზიანიდან . .	3 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	31 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46 „	„
თბილისში მიდის .	5 „	01 „	„
წნორის-წყლიდან .	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან . .	9 „	46 „	„
გურჯაანში მოდის	10 „	16 „	„

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება"-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладз:.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი"

ქუთაისში
გ. ლალიძე და ამხ.
საუკეთესო ხილის წყალი
ტელეფ. №411
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამაევის შესახვევი № 4.